საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№162 (12 232)

12 ივლისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი



უეფას თასის ფინალი თბილისში?

განაცხადი 2011 წლისთვის წარდგენილია

რეალურად არსებობს შანსი, რომ 2011 წელს უეფას თასის ფინალს თბილისმა, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლოს. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფაში განაცხადი უკვე შეიტანა. ამ საკითხის განხილვა დღეს უეფაში შედგება და მას ქართული დელეგაციაც დაესწრება. დელეგაციაში ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა**, ეროვნული სტადიონის დირექტორი **ირაკლი მეძმარიაშვილი** და თბილისის მერიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი შერვაშიძე** შედიან. ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ნუხელ დაგვიდასტურა:

"2010-2011 წლების სეზონისთვის, უეფას თასის ფინალისთვის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განაცხადი უკვე შევიტანეთ. გამთენიისას ირაკლი მეძმარიაშვილსა და გიორგი შერვაშიძესთან ერთად შვეიცარიას მივემგზავრებით, ნიონში, უეფას შტაბბინაში ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრები და კონსულტაციები გაიმართება. იქვე გაგვაცნობენ, თუ რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგვიწევს. შემდგომ ამ საკითხზე მუშაობას გავაგრძელებთ და სექტემბერში ჩვენს პროექტს წარვადგენთ. დეკემბერში უეფა 2011 წლის უეფას თასის ფინალისთვის რამდენიმე სტადიონის კანდიდატურას ამოარჩევს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი გაისად, აპრილ-მაისში მიიღებს". - განგვიმარტა უჩა უგულავამ.

დავით ცაბაძე

შოთა და ლევანტე

მოლაპარაკება დაიწყო და დღეს უნდა დასრულდეს

გასული სეზონის საუკეთესო ქართველმა ფეხბურთელმა **შოთა არველაძემ** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა და ფეხბურთიდან წასვლაზე დაფიქრდა. მართალია, "ალკმაართან" მას კიდევ ერთი წლით აკავშირებდა კონტრაქტი, მაგრამ კარიერის დასრულების შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ანულირებულად ჩაითვლებოდა.

მართალია, "ალკმაარმა" რამდენიე დღის წინ დაიწყო ახალი სეზონისთვის სამზადისი, მაგრამ შოთა **ვან გაალის** გუნდში არ გამოჩენილა. აქედან გამომდინარე ორი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი – არველაძე ან ფეხბურთიდან მიდის, ანაც სხვა გუნდში გადადის. ბუნებრივია, ცნობათა მოძიებას შევეცადეთ და ხელთ "ლევანტე" შეგვრჩა.

შეგახსენებთ, რომ ესპანურ პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე "ლევანტეს" შოთა არველაძის გადაბირება ჯერ კიდევ შარშან, სეზონის დაწყებამდე სურდა, მაგრამ მაშინ ქართველი ფორვარდი ვან გაალსა და "ალკმაარს" ვერ შეელია. ამჯერად კი მოლაპარაკებები დაიწყო. ეს ცნობა გუშინ შოთამ დაგვიდასტურა.

"მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით. "ლევანტე" კვლავაც საკმაოდაა მონდომებული ჩემი გადაბირებით და ვითამაშებ თუ არა ამ კლუბში ამას ხუთშაბათის მოლაპარაკება გადაწყვეტს".

შოთას "ლევანტეში" შესაძლო გადასვლაზე თურქ აგენტ **ბაირამ თუთუმლუსაც** დავუკავშირდით ვალენსიაში: *"ახლა "ლევანტეს" ოფისში ვარ და კლუბის პრეზიდენტ პედრო ვილიაროელს ვესაუბრები. მას ძალიან მოსწონს არველაძე და ალბათ იცით, რომ შარშანაც უნდოდა მისი გადაბირება. ხუთშაბათს მე, შოთა და "ლევანტეს" პრეზიდენტი ვალენსიაში მოლაპარაკებას გავმართავთ. არველაძე ჯერაც "ალკმაარს" ეკუთვნის, მაგრამ გვითხრა, თუ ტრანსფერი შედგა, როგორც თავისუფალი აგენტი, ისე გადავა ვალენსიურ კლუბში".*

წუხელ, შოთას ტრანსფერზე "ლევანტეს" პრეზიდენტმა **პედრო ვილიაროელმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ჩვენ გვსურს, გუნდი გამოცდილი და მაღალი დონის მოთამაშეებით დავაკომპლექტოთ, რათა პრიმერაში პრობლემები არ გვქონდეს. არველაძე ამაში დაგვეხმარება".*

"ლევანტეს" ახალი მწვრთნელი **ხუან რამონ ლოპეს კარო** მზადაა არველაძეს 1+1 კონტრაქტი შესთავაზოს.

დავით ცაბაძე, დავით თავართქილაძე

შაშიაშვილი გუშინდელ მატჩში

შაშიაშვილმა ავსტრია აუსტრიით დაიწყო

2005-2006 წლების სეზონის შემდეგ ავსტრიის ბუნდესლიგაში პირველამა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა - **გიორგი შაშიაშვილმა** სწორედ იმ გუნდის მაისურა მოირგო, სადაც მისი თანამემამულე **დავით მუჯირი** გამოდიოდა, საუბარია გრაცის "შტურმზე". "უპსარენაზე" გიორგი შაშიაშვილის კლუბმა ვენის "აუსტრიას" უმასპინძლა და 2:2 დაუზავდა. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა მარჯვენა ფლანგზე. მასპინძელთა მხრიდან გოლები **ჰაასმა** და **კრამერმა** გაიტანეს.

მეორე ტაიმი რომ არა...

ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ ესპანეთთან მატჩისგან ქართველები კარგს არაფერს ველოდით, რადგან წინა მატჩებმაც დაგვანახვა, რომ პირენეელებს ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავთ. მაგრამ მოლოდინი ხომ ხშირად არ მართლდება - **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა მეტოქეს თავიდანვე თამამად შეუტიეს და დებიუტში 10:4 დაწინაურდნენ. ამ საქმეში 4-ქულიანი წვლილი **მიხეილ ბერიშვილმა** შეიტანა, სამქულიანი - მიშა ჭოჭუამ. თუმცა ორ წუთში 10:4 10:14-ით შეიცვალა. ქართველები არც მეტოქის 10-ქულიანმა სპურტმა გატეხა. მეოთხედის ბოლოს ჭოჭუამ ორი სამქულიანი ერთმანეთს მიაყოლა და საწყისი ათწუთეული 24:21 მოვიგეთ.

მეორე პერიოდშიც თანაბარი თამაში გაჩაღდა. თუმცა დიდი შესვენების მოახლოებასთან ერთად ესპანელთა ტყორცნებს სიზუსტე მოემატა და პირველი ტაიმი 38:46 წავაგეთ. 20 წუთის სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ მოედანზე ორი თანაბრად დაბალანსებული, გუნდურად მოთამაშე კოლექტივი თამაშობდა. ორივე მხრიდან 8 კაცს ჰქონდა შეტევაში თავი გამოჩენილი. გამოჩნდა ისიც, რომ ქართველები შედარებით მეტ ყურადღებას პერიმეტრიდან ტყორცნებს უთმობდნენ - 15 სროლა შეასრულეს. თუმცა, არც ფარქვეშ მოიკოჭლებდნენ - მეტოქეს 5 მოხსნით აჯობეს.

დაიწყო მეორე ტაიმი და ესპანელები მოედანზე მგლებივით გამოცვივდნენ, მათი კალათისკენ მიმავალი ყველა გზა გადაკეტეს და მაშინღა გამოჩნდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელებს საქმე "ბარსელონისა" და "რეალის" მოთამაშეებთან ჰქონდათ. ...68:96 წავაგეთ.

კოლინა თუ კოლინაძე?

სლოვენიური პრესა ევროპის ჩემპიონატს ძირფესვიანად აშუქებს, რიგითი მოთამაშეებით დაწყებული, მსაჯებით დამთავრებული. გუშინ ტურნირის მიმოხილვაში ჩვენთვის საინტერესო აბზაცი აღმოჩნდა:

"...მატჩის დაწყებიდან ბოლომდე ქომაგები კითხულობდნენ: პიერლუიჯი კოლინა ფეხბურთიდან კალათბურთში გადმოვიდაო? პასუხი მხოლოდ მათ ჰქონდათ, ვინც შეხვედრის ოქმში ჩაიხედა - ქართველი არბიტრი ზაზა მაჩალაძე პიერლუიჯი კოლინას არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ სიმკაცრითაც ჰგავს. გულშემატკივრები ხუმრობდნენ კიდეც, ეს მაჩალაძე კი არა, კოლინაძეაო."

დღეს 19:30 საათზე მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩში ჩვენი ძალის გუნდს, ხორვატიას ვეთამაშებით. მეტოქემ პირველ წრეში ესპანეთთან (69:88) და ისრაელთან (64:77) წააგო და მაკედონიას 88:70 აჯობა. მეორე ეტაპზე ხორვატთა ანგარიშზე იტალიასთან მარცხიცაა - 69:82.

ვაჟა სიმონიშვილი

11 ივლისი, გორიცია (იტალია)

საქართველო–ესპანეთი 68:96

24:21, 14:25, 7:21, 23:29

საქართველო	წთ	ქ	მ	პ	ჩ	ღ	შ
ბაფრინდაშვილი	16	10	4	1	1	0	4
წივწივაძე	11	2	1	1	1	0	1
ცაკვაძა	12	5	1	2	0	0	0
ლაფანაშვილი	19	5	3	1	1	0	1
ჭოჭუა	20	9	2	1	0	0	2
ფარლალავა	17	0	1	0	0	0	2
ჯგერენაია	20	6	3	0	0	0	1
ბულისაბედაშვილი	23	7	0	0	1	0	1
მათიაშვილი	18	8	7	0	0	0	0
ბერიშვილი	20	4	2	2	2	0	3
შერმადინი	21	12	4	0	0	1	3

ესპანეთი	წთ	ქ	მ	პ	ჩ	ღ	შ
ლული	18	15	2	4	1	0	0
რიბასი	25	5	0	5	1	0	3
გლასკო	3	4	2	0	1	1	0
ვალი	8	0	1	0	0	0	0
სანჩესი	21	6	1	0	1	0	1
ამიგო	24	15	5	2	2	0	2
ურუტი	5	3	1	1	0	0	0
ფერნანდესი	26	8	3	0	0	1	0
ტურელი	15	12	4	0	1	0	2
კაბეზასი	6	2	1	0	0	0	1
რეი	31	21	11	4	3	1	1
დუარტე	18	5	3	0	0	0	3

F ჯგუფი

ხორვატია–ბულგარეთი 70:88
იტალია–ისრაელი 66:62

	თ	მ	წ	ქ
1. იტალია	4	4	0	8
2. ესპანეთი	4	4	0	8
3. ისრაელი	4	2	2	6
4. საქართველო	4	1	3	5
5. ბულგარეთი	4	1	3	5
6. ხორვატია	4	0	4	4

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ჩემპიონთა ლიგის წინ

გადაწყვეტილია: ოლიმპი რუსთავში ითამაშებს

გუშინ თბილისში უეფას სტადიონების ლიცენზირების კომიტეტის წევრი, **ტიერი ფავრი** ესტუმრა. მან დილიდან რუსთავის სტადიონის ინსპექტირება დაიწყო და როგორც მოსალოდნელი იყო, კმაყოფილი დარჩა.

უეფას წარმომადგენელს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის თანამშრომელი **ბაქარ ჟორდანია** ახლდა და სწორედ მისგან შევიტყვეთ ფავრის გადაწყვეტილება

სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ **ტიერი ფავრი** მედიასთან ურიერთობას ერიდებოდა.

"რატომღაც, გვთხოვა, რომ სტადიონს ინსპექტირებისას ჟურნალისტებთან არ სურდა საუბარი. თუმცა დასამალიც არაფერია, რუსთავში შეძლეს იმ ხარვეზების გამოსწორება, რაც სტადიონს ევრომატჩების მასპინძლობაში ხელს შეუშლიდა. გასახდელები, პრეს-ლოჟა, კომენტატორთა ჯიხურები, უეფას დელეგატისა და მსაჯების ოთახები მოწესრიგდა, ინდივიდუალური სკამები დაინომრა და კიდევ ბევრი სხვა საქმე გაკეთდა. ფავრი კმაყოფილი დარჩა და გვითხრა, რომ რუსთავის "ოლიმპს" ლიგის პირველ ეტაპზე შინ მასპინძლობის უფლებას უეფა დართავს", - გვითხრა ჟორდანიამ.

ასე რომ, რუსთავის "ოლიმპი" ყაზახეთის "ასტანას" მშობლიურ ქალაქში 17 ივლისს უმასპინძლებს. შეხვედრა საკმაოდ ადრე, 18.15 საათზე დაიწყება. მიზეზი ისაა, რომ რუსეთავის სტადიონზე განათების სისტემის დამონტაჟება ჯერ არ დასრულებულა.

ტიერი ფავრი დღეს "ლოკომოტივის" სტადიონს ეწვევა.

მერაბ მამულაშვილი

დინამო. მოსალოდნელი ტრანსფერები

ოვონო ბარსელონაშია, დობეში ჩეხეთში

დინამოს თბილისში აკირემი ჩამოჰყვა

გერმანული მოსამზადებელი შეკრების შემდეგ თბილისის, "დინამო" გუშინ გამთენიისას დაბრუნდა სამშობლოში. **დუშან უჰრინის** გუნდს გუშინ დასვენება ჰქონდ, დინამოელები ვარჯიშებს დღეს განაახლებენ.

უცხოური შეკრებისას გამართულ მატჩებში "დინამოს" შემადგენლობაში რამდენიმე ახალმა ფეხბურთელმა ითამაშა. ყველასთვის საინტერესოა, თუ როგორ გადაწყდება მათი საკითხები.

ჩვენი ინფორმაციით, გაბონის ნაკრების წევრების, მეკარე **დიდიე ოვონოსა** და ფორვარდ **გეორგის აკირემის** "დინამოში" დარჩენის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. მალე მათთან კონტრაქტები გაფორმდება, სატრანსფერო ფორმალობა მოგვარდება, აფრიკელთა ტრანსფერები ჩამოვა და თბილისური კლუბი ამ ორ ფეხბურთელს უეფას განაცხადშიც შეიყვანს. გაცნობებთ იმასაც, რომ ოვონო უჰრინის გუნდს თბილისში არ ჩამოჰყოლია. ის ბარსელონაში ცხოვრობს, ფრანკფურტიდან ესპანეთში გაფრინდა და საქართველოში ორიოდე დღეში დაბრუნდება.

რაც შეეხება კამერუნელ ნახევარმცველ **რაიმონ ვუკუეს**, მისი საკითხი წესით, ამ დღეებში უნდა გაირკვეს. იგივე შეიძლება ითქვას ჩეხ მცველ **რომან დობეშზეც**. იგი ფრანკფურტიდან სამშობლოში გაეგზავრა და თუ მისი საკითხი დადებითად გადაწყდება, ცხადია, თბილისში ჩამოვა.

აქვე გეტყვით, რომ სავარაუდოდ, "დინამო" შაბათს, 14 ივლისს, დიღმის ბაზაზე გორის "დილასთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს.

დავით ცაბაძე



გიორგი ჩიხრაძე

ამერი

ჩიხრაძე ბელხატოვს დღეიდან ჩაუჯდება

სამი მოგება, ერთი ფრე და ორი ნაგება - ასე ჩაამთავრა ნლევანდელი ჩეხური შეკრება თბილისის "ამერმა".

გუშინ გიორგი ჩიხრაძის გუნდი ბლშანში პლზენის "ვიქტორიას" გაეჯიბრა და 1:0 მოიგო. პლზენელები ჩეხეთის ჩემპიონატში მე-6 ადგილზე გავიდნენ და ცხადია, ურიგო გუნდი არ ეყოლებათ. გამარჯვების გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა 76-ე წუთზე.

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი (69. ელბაქიძე), კაკაშვილი (78. კობაური), დოლიძე (60, ალავიძე), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (77. დეკანოსიძე), ჯელაძე (67. შალამბერიძე), დავითაშვილი (60. ტატანაშვილი), გოცირიძე (85. ცხადაძე).

გუშინ მატჩის დასრულების შემდეგ "ამერის" მთავარ მწვრთნელ ჩიხრაძეს ბლშანში დავუკავშირდით...

- ჩეხური შეკრება ნაყოფიერი გამოდგა, ვარჯიშისა და დასვენების ძალიან კარგი პირობები გვქონდა. რაც მთავარია, გუნდმა სათამაშო პრაქტიკა მიიღო. საერთო ჯამში, საკონტროლო მატჩების შედეგებით კმაყოფილი ვარ, ჩვენ ხომ ძლიერ გუნდებს ვეთამაშეთ.

- ჩეხეთში ხუთი ახალი ფეხბურთელი ნაიყვანეთ - როგორ შეატყვეთ, ისინი მნიშვნელოვნად მოაძლიერებენ "ამერს"?

- ისინი კარგად შეეწყვნენ გუნდს და თუ როგორ გამოადგებიან "ამერს", ეს უფრო კარგად ოფიციალურ მატჩებში გამოჩნდება - უეფას თასზე და საქართველოს ჩემპიონატში.

- უეფას თასზე თქვენი მეტოქე პოლონური "ბელხატოვია" - ალბათ უკვე ამომწურავ ინფორმაციას ფლობთ მეტოქეზე და როგორ შეაფასებთ ამ გუნდს?

- "ბელხატოვის" ფეხბურთელებზე ინფორმაცია უკვე გვაქვს, რაც შეეხება მთლიანად გუნდს, მისი თამაშის ვიდეოჩანაწერები მოვიპოვეთ და მათ თბილისში გავეცნობით.

- "ბელხატოვს" 19 ივლისს ეთამაშებით და მანამდე კიდევ გამართავთ საკონტროლო მატჩს?

- არა. "ბელხატოვთან" საპასუხო მატჩებამდე კი გვექნება ტესტმატჩი - თბილისში აზერბაიჯანულ "სიმურგს" შეეხვდებით.

- შარშან უკვე თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერლინის "ჰერტასთან" მატჩის წინ თქვით, მეტოქე ყველა პარამეტრით ჩვენზე მაღლა დგასო. "ბელხატოვი" რაც პარამეტრებითაა "ამერზე" წინ?

- არ ვიტყოდი, რომ "ბელხატოვი" რაღაც პარამეტრებით ჩვენზე უკეთესია. თუმცა პოლონეთის ჩემპიონატი რომ საქართველოს ჯობია, ფაქტია. "ბელხატოვი" კი პოლონეთის ვიცე-ჩემპიონია...

- ჩეხურ შეკრებაზე დაშავებული რატი ნინამძღვრიშვილი როდის იკეთებს ოპერაციას?

- პირველ ოპერაციას პრაღაში ხვალ გაიკეთებს, რამდენიმე დღეში თბილისში დაბრუნდება და მეორე ოპერაციისთვის ჩეხეთში დაახლოებით ერთ თვეში ჩავა.

დავით თავართქილაძე

სიონი

ბობოხიძე და იაშვილი ვარჯიშობენ

ბოლნისური როქი გოგიჩაიშვილისა და ყიფშიძის მონაწილეობით?



ბოლნისის "სიონი" ახალი მწვრთნელის, **ნოდარ აკობიას** ხელმძღვანელობით ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. აკობიას გუნდი რატევანში ვარჯიშობს. კამერუნელთა ტრიო **ერიკ რომეო ჩასემის, ბოიომო ფრიდოლინისა** და **გასტონ ევოჩეს** შემადგენლობით, შვებულების შემდეგ, გუნდს დაუბრუნდა. კლუბის გენერალური მენეჯერის, **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, "სიონში" ვარჯიშობს ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძე** და გასულ სეზონში "კახეთის მეკარე, **სანდრო იაშვილის** ძმა, **გიგა იაშვილი**.

ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ბოლნისელებს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაემატება. მათ რიცხვში სახელდება მეკარე **ზვიად სტურუა** და მცველი **გიორგი მემარნიშვილი**. დიდი შანსია, გუნდში დარჩეს მცველი **სერგი ორბელაძეც**.

შესაძლოა, "სიონის" სამნვრთნელო შტაბში ერთგვარი როქი, გადაადგილებაც კი მოხდეს, რომლის შედეგადაც აკობიას ასისტენტად **კახი გოგიჩაიშვილი** მოგვევლინოს, **გიორგი ყიფშიძეს** კი დუბლშემადგენლობა ჩააბარონ. თუმცა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვერსიაა და ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

დაბოლოს, ჭიპაშვილის თქმით, "სიონის" მესვეურები ურეკში იმყოფებოდნენ და მოსამზადებელი შეკრებისთვის სასტუმროც შეარჩიეს. "სიონი" 18 ივლისს გაეგზავრება ურეკში და თორმეტღღიან შეკრებას გაივლის. აკობიას შეგირდები ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "ელდორადოში" დაბინავდებიან, რომლის კომპლექსშიც ორი საფეხბურთო მოედანია. ჭიპაშვილის თქმით, ურეკში ერთბაშად რამდენიმე სომხური გუნდი გაივლის შეკრებას და "სიონიც" ამ და სხვა გუნდებთან გამართავს ამხანაგურ მატჩებს.

დავით ცაბაძე



საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისის" ფანკლუბი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ფანკლუბის ერთ-ერთ დამფუძნებლისა და თავკაცის,

ლევან ღამბაშიძის (გალუს)

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სეთურიძე

გერმანიისკენ ნაბიჯით იარ!

კანდელაკმა, ბარაბაძემ და სეთურიძემ ვიზა მიიღეს

გუშინ გერმანიის საკონსულომ ქართველ ფეხბურთელებზე, როგორც იქნა, ვიზა გასცა. **გიორგი სეთურიძემ, ილია კანდელაკმა** და **რევაზ ბარაბაძემ** ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, გერმანიაში შესვლის უფლება მიიღეს.

ისინი დღეს დილაუთენია გერმანიაში გაფრინდნენ და "კარლ ცაისთან" კონტრაქტს გააფორმებენ.

კანდელაკის თქმით, კონტრაქტის პირობებსა და ხანგრძლივობას იენაში გაარკვევს. სეთურიძეს, ალბათ, სამნლიან ხელშეკრულებას დაახვედრებენ, ბარაბაძე კი 1+1 ტიპის კონტრაქტს მოანერს ხელს.

"კარლ ცაისის" ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გამოჩნდა ინფორმაცია სეთურიძისა და კანდელაკის თაობაზე. აი, რეზო ბარაბაძე კი ერთხელაც არ უხსენებიათ. საქმე ისაა, რომ მას ბოლო დღემდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი, სად უჯობდა თამაში. საბოლოოდ, მან გერმანია ამჯობინა.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

ლუქსემბურგი გვიან გვიმასპინძლებს

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 22 აგვისტოს ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ თამაშის დაწყების დრო და ადგილი უკვე გარკვეულია.

სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩს "სტად ჟოზი ბარტელი" უმასპინძლებს. ეს ამხანაგური მატჩი თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. ჩვენი ნაკრები ლუქსემბურგში, სასტუმრო "ნოვოტელში" დაბინავდება.

შეგახსენებთ, რომ ეს ჩვენი გუნდისთვის ნელს მეორე ამხანაგური მატჩია. 7 თებერვალს **კლაუს ტოპმიოლერის** კრებულმა თბილისში თურქეთი 1:0 დაამარცხა. 22 აგვისტოს შემდეგ კი ფიფას მიერ გამოყოფილი თარილების მიხედვით, 12 სექტემბერსა და 17 ნოემბერს შეგვიძლია ამხანაგური მატჩების ჩატარება.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის მთავარ გუნდს ჩვენი ნაკრები აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2001 ნლის 15 აგვისტოს ამხანაგურად გაეჯიბრა. **ალექსანდრე ჩივაძის** ფორმაციის გუნდმა **გიორგი დემეტრაძის** დუბლისა და **რატი ალექსიძის** ერთი გოლის წყალობით, ლუქსემბურგი 3:0 დაამარცხა.

დავით ცაბაძე

21. ევრო 2009

პოლონეთს ზაბიერზოვში ვეთამაშებით

5 ივნისს ესპანეთთან თბილისური მატჩით (0:1), საქართველოს 21-ნლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2009 ნლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ესპანელთა გარდა ჩვენს ჯგუფში პოლონეთის, რუსეთისა და ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრებები არიან.

ჩვენს ჯგუფში მომდევნო შეხვედრები 22 აგვისტოს გაიმართება. ამ დღეს ყაზახეთი რუსეთს უმასპინძლებს, პოლონეთი კი საქართველოს. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პოლონეთ-საქართველოს 21-ნლამდელთა ნაკრების მატჩი 22 აგვისტოს კრაკოვიდან 20 კილომეტრის დაშორებით, პატარა ქალაქ ზაბიერზოვში გაიმართება.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

მეგრელაძე და გურული ყაზახეთში

აბრამიძეს მაინც ფული მოსთხოვეს

აზერბაიჯანული კლუბები ბოლო დროს კი გამდიდრდნენ, მაგრამ ევროპელებივით საკონტრაქტო პირობების კეთილსინდისიერად შესრულება ზოგიერთმა ვერ ისნავლა. **ვალერი აბრამიძის** ერთნლიანმა კონტრაქტმა ფოკუსების წყალობით, ორწლიანად განიცადა ტრანსფორმაცია. ბოლოს 26 ნლის ქართველი მცველი მახაჩყალის "ანჟიში" ვარჯიშობს. თუმცა, ტრანსფერის ბედი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. "სპორტდეილის" ინფორმაციით, კლუბები მოლაპარაკებებს აგრძელებენ, რომელზეც აბრამიძის გამოსასყიდ თანხას განიხილავენ. როგორც ჩანს, ქართველ მცველს აზერბაიჯანულად შედგენილ კონტრაქტში ხელი მართლაც ორწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერინეს. რომ არა ეს მანიპულაცია, ვალერი თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებდა.

"ბაკიდან" წამოსული **გიორგი მეგრელაძე** კი სხვაგვარ პრობლემას წააწყდა. მართალია, ის თავისუფალი აგენტი გახდა, საკომპენსაციოს მასში არ ითხოვენ, თუმცა აქაც თანხის პრობლემა ამოტივტივდა. ბაქოელები საკონტრაქტო პირობებს არ ასრულებენ და ქართველ თავდამსხმელს ბოლო თვეების ხელფასს არ უხდიან. ეს გიამ დაგვიდასტურა და უახლოესი გეგმებიც გაგვიმხილა:

"14 ივლისს ყაზახეთში მივემგზავრები. იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ "ჟეტისუსთან" მოლაპარაკება დავიწყე და ადგილზე უნდა გავარკვიო ყველაფერი".

ყაზახეთში ისინჯებოდა თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი **გიორგი ნერგაძე**, მაგრამ ფეხი იტკინა და საქართველოში დაბრუნდა. არაა გამორიცხული, ყარაღანდის "შახტიორიდან" **გიორგი გაბიდაური** წამოვიდეს. მას კონტრაქტი დაუსრულდა და რუსთავის "ოლიმპის" მეტოქე, ყაზახეთის ჩემპიონი "ასტანა" ინვევს.

ლევან მელქაძე კი კლუბში რჩება. ბევრჯერ დაინერა, რომ 27 ნლის თავდამსხმელი ფორმაში არაა და ამის გამო ვერ გააქვს გოლები. სინამდვილეში კი მიზეზი სულ სხვა რამაა - "შახტიორს" საკმაოდ ბევრი თავდამსხმელი ჰყავს და მწვრთნელმა "ორიგინალური" გადაწყვეტილება მიიღო - მელქაძე ფლეიმეიქერად გაამწესა და ასე გრძელდება ყაზახეთის ჩემპიონატის პირველი ნრე.

"შახტიორის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ კიდევ ორ ქართველს ელიან. ერთ-ერთის ვინაობა დავაზუსტეთ - იგი ქუთაისის "ტორპედოს" მარცხენა მცველი, 18 ნლის **გიორგი გურული** გახლავთ. ამ ბიჭმა ჩვენი ჩემპიონატის პირველი ნრე საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარა და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიქცია. სანყენი ისაა, რომ უკვე გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად, ყაზახეთში ნიჭიერი ბიჭებიც მიდიან.

მერაბ მამულაშვილი

გიორგი მეგრელაძე

ყუბანს აშვეთია დაუგვიანდა

გაზეთ "კრასნოდარსკიე ვესტნიკ"-მა ინფორმაციით, 29 ნლის ქართველი ფორვარდის, **მიხეილ აშვეთიას** გადაყვანა პრემიერლიგელ კრასნოდარის "ყუბანს" სურდა. გაზეთი ამტკიცებდა, რომ "ყუბანის" მწვრთნელმა სამი თავდამსხმელის გადაყვანა გადაწყვიტა და უკრაინელი **ოლეგ ვენგლინსკისა** და ბელორუსი **ვიტალი კუტუზოვის** გარდა, ქართველი თავდამსხმელსაც უმიზნებსო.

შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ კრასნოდარელთა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა - როგორც გავარკვიეთ, აშვეთია უკვე დაღესტანშია და "ანჟიში" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა. შემდეგ კი, არაა გამორიცხული, "მოსკვაში" გადავიდეს.

მერაბ მამულაშვილი

გოგობერიშვილი ბაკიში დარჩა

აზერბაიჯანის შარშანდელი ჩემპიონი "ბაკი" სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია. გაზეთ "ტრენდის" ინფორმაციით, გუნდის დატოვება სურდა ქართველ ნახევარმცველ **ალექსანდრე გოგობერიშვილს**, რადგან მას გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა.

როგორც ჩანს, "ბაკის" ხელმძღვანელობამ მოახერხა ალეკოს გადარწმუნება - ბოლო ინფორმაციით, ის შვებულების შემდეგ ისევ ბაქოელთა შორის ვარჯიშობს. "საკითხი გადაყვეტილია, ქართველი "ბაკიში" დარჩება" - იუწყება "ტრენდი".

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

იაშვილს ნახევარი საათი არ ეყო

სანდრო იაშვილის ახალმა გუნდმა "თუნმა" მორიგი ამხანაგური მატჩი "პფულენფორფთან" გუშინ გამართა და ქართველი ფორვარდის დებიუტიც სწორედ ამ შეხვედრაში შედგა. თუნელებმა მეტოქე **იბრაჰიმ ბას, ომარ ფოესა** და **ალეხანდრო კავატორტას** გოლების წყალობით 3:1 დაამარცხეს. სანდრო სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა. იაშვილი სწორედ მეორე გოლის ავტორ ფოეს ნაცვლად, 61-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე. "თუნი" უკვე სამი ბურთით იგებდა და მას მერე ანგარიში მხოლოდ ერთხელ შეიცვალა. სანდრო იაშვილს გოლისთვის ნახევარსაათიანი დებიუტი არ ეყო. "თუნი" მომდევნო ტესტმატჩს 14 ივლისს "ნისესთან" გამართავს...

დავით ცაბაძე

კვარაცხელიამ გოლი გაიხსენა

ლიტვაში ზედიზედ ნარმატებული მატჩების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონმა "კაუნასმა" 6-ქულიანი უპირატესობით ჩამოიტოვა კონკურენტი "ვილნიუსი" (თუმცა დედაქალაქელებს ნაკლები შეხვედრა აქვთ გამართული). გუშინ "კაუნასი" აუტსაიდერ "ინტერასს" ხვდებოდა, კლასში სხვაობა კლუბებს შორის იმდენად დიდია, რომ საბოლოო ანგარიში, 6:1 კიდევ კარგად ვერ ასახავს მასპინძელთა სათამაშო უპირატესობას. გოლების გემო გაიხსენა ქართველმა ნახევარმცველმა **გივი კვარაცხელიამ**, რომელმაც 30-ე წუთზე გახსნა ანგარიში. დაცვის მარცხენა ფლანგზე შეუცვლელად ითამაშა **ნუკრი მანჩხავამ**, მატჩის ბოლომდე მოედანზე იყო კვარაცხელიაც.

გია კვარაცხელია

გოლი და გაძევება ბელარუსში

ჩვენთვის საინტერესოდ ნარიმართა მორიგი ტური ბელარუსშიც, **რომან გოგინაშვილის** ბრესტის "დინამო" სოლიგორსკის "შახტიორს" ესტუმრა და 2:3 დამარცხდა. მატჩის 84-ე წუთზე რომანმა გოლით (სხვათა შორის, ის მხოლოდ სამი წუთის შესული იყო მოედანზე) თითქოს იხსნა ქულა სტუმართა გუნდისთვის (2:2), თუმცა მატჩის უკანასკნელ წუთზე "შახტიორს" **ლეონჩიკმა** გაამარჯვებინა. სტუმართა რიგებში დებიუტი ჰქონდა **გია თოდუას**, რომელიც 67-ე წუთზე შევიდა. "ბრესტს" ჩემპიონატში უჭირს, 13 ქულით კლუბი მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზეა. მოგილევში ორი ქართველი ლეგიონერის კლუბი დაუპირისპირდა ერთმანეთს, **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრმა" **სულიკო კაკაბაძის** "სმორგონს" უმასპინძლა. მატჩი 0:0 დასრულდა, მასპინძლებმა თამაში 9 კაცის შემადგენლობით ჩაამთავრეს, 39-ე წუთზე კლუბი შუბლაძემ დაალალატა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲝᲠᲬᲠᲔᲢᲘ

თემურ ქეცბაია

სახალხო ფეხბურთელი

ᲓᲝᲡᲘᲔ

დაიბადა 1968 წლის 18 მარტს, გალში. ფეხბურთის თამაში დაიწყო გალის სპორტსკოლაში მწვრთნელ იური ბიბლაიასთან. შემდეგ სწავლობდა გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში (მწვრთნელი - თემურ მახარაძე). 1986 წელს თამაშობდა სოხუმის "დინამოში" (22 მატჩი, 5 გოლი), რომელიც საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობდა. 1987-89 წლებში თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ჩაატარა: საკავშირო ჩემპიონატის 54 მატჩი (8 გოლი), საკავშირო თასის 12 (1 გოლი) და ევროტურნირების 4 მატჩი.

1990 და 1991 წელს თბილისის "იბერიის" შემადგენლობაში ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. 1990 წელს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სულ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაატარა 50 მატჩი და გაიტანა 15 გოლი, თასზე - 7 მატჩი (4 გოლი). 1991-94 წლებში თამაშობდა კვიპროსის "ანორთოსისში", ხოლო 1994-97 წლებში საბერძნეთის აეკში. ამ პერიოდში ორ-ორჯერ იყო კვიპროსისა და საბერძნეთის ჩემპიონატის მეორე პრიზორი, ორჯერ მოიპოვა საბერძნეთის თასი. ერთხელ დაასახელეს საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელად. 1997 წელს გაზეთ "სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად დაასახელეს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად.

1997-2000 წლებში თამაშობდა პრემიერლიგაში - "ნიუკასლში", რომლის შემადგენლობაშიც ორჯერ ითამაშა ინგლისის თასის ფინალში და ერთხელ - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. 2000-01 წლებში თამაშობდა ინგლისის I დივიზიონის "ეულვერჰემპტონში"; 2001-2002 წლებში კი - შოტლანდიურ "დანდიში". 2002 წლიდან ისევ "ანორთოსისს" დაუბრუნდა და 2004 წლის იანვრიდან მოთამაშე-მწვრთნელის რანგშიც მოგვევლინა. მისი ხელმძღვანელობით "ანორთოსისმა" ერთხელ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, ერთხელ - თასი. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 1990 წლის 27 მაისს ლიტვასთან. სულ საქართველოს ნაკრებში ჩაატარა 50 მატჩი და გაიტანა 16 გოლი. ოთხ შეხვედრაში იყო საქართველოს ნაკრების კაპიტანი.

...14 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ **თემურ ქეცბაია** დიდი ფეხბურთიდან მიდის! იმ დღეს კვიპროსზე დიდი სტუმრიანობა იქნება: ქართველი ფეხბურთელის გამოსათხოვარ მატჩზე მისი ყოფილი თანაგუნდელები ჩავლენ - საბერძნეთიდან, ინგლისიდან, შოტლანდიიდან და, რაღა თქმა უნდა, საქართველოდან. აი, ასეა - ჩვენ ხომ არ ვიცით ღვაწლმოსილი კაცის ამაგის დაფასება...

...ვინ-ვინ და თემურ ქეცბაია ალალად იმსახურებს დიდი ფეხბურთიდან საზეიმო გაცილებას. 22 წელიწადი ფეხბურთელი მაღალ დონეზე რომ ითამაშებს, ჯერ მარტო ამის გამო უნდა დააფასო; თანაც, ქეცბაია-ფეხბურთელს იმიტომაც აღმერთებდნენ კვიპროსელი, ბერძენი, ინგლისელი, შოტლანდიელი თუ ქართველი ქომაგები, რომ ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა. ჰო, ყველა მატჩში - მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისთან ან სად თამაშობდა... კიდევ გავიმეორებთ - გულშემატკივრები ალალ ტაშს არ იშურებდნენ ჯიგრიანად მოთამაშე უნივერსალი ფეხბურთელის მიმართ. ქეცბაია მოედანზე შემქმნელიც იყო და ჩამშლელიც, ნახევარდაცვაში ფლანგებზეც უთამაშია და ცენტრშიც, თავდასხმაშიც არაერთხელ გვინახავს და გოლებზე ხომ ზედმეტია საუბარი...

...ფეხბურთელის მაღალი კლასი იმითაც მტკიცდება, მნიშვნელოვან და პრინციპულ შეხვედრაში თავს რომ გამოიჩენს. ქეცბაიაც წლიდან წლამდე ამას ამტკიცებდა - ვინ მოსთვლის, რამდენი გადამწყვეტი გოლი გაუტანია ქართველ ფეხბურთელს "ანორთოსისის", აეკ-ის, "ნიუკასლისა" თუ საქართველოს ნაკრების მაისურით.

...ხშირად გაგვიგია ფეხბურთელებისგან: ეს "ჩემი" გუნდი არ აღმოჩნდაო, იქ მწვრთნელმა ამითვალისწუნაო, სხვაგან პირობები არ მაკმაყოფილებდაო და ასე დაუსრულებლად. ქეცბაიას კი, სადაც უთამაშია, ყველგან ლიდერობაზე ჰქონდა პრეტენზია და ამას საქმით, ანუ თამაშით ამტკიცებდა კიდეც. თამაში კი, მართლაც ჯიგრიანი იცოდა და ამას... 22 წელიწადი გვიმტკიცებდა!

...14 ივლისს თემურ ქეცბაია ფეხბურთელის რანგში ბოლო მატჩს ჩაატარებს; როგორც ასეთ შეხვედრებს შეეფერება, იქნებიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მეგობრები; იქნება ლამაზი გაცილებაც - ოვაციაც და ცრემლიც; რაღა თქმა უნდა, იქნება სუფრაც (ქართულ-ევროპული), სადაც, ალბათ, კაცების სადღეგრძელოსაც შესვამენ. ფეხბურთს ხომ ყოველთვის... კაცები თამაშობენ; აი, როგორც თემურ ქეცბაია თამაშობდა - კაცურად და ჯიგრიანად!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ გულშემატკივარმა ქეცბაია-ფეხბურთელი 1987 წელს გაიცნო, როცა ყველასთვის უცნობი 19 წლის ახალგაზრდა თბილისის "დინამოში" ჩაირიცხა. ალბათ, მტკიცება არ უნდა, თუ რამხელა სკოლა იქნებოდა დებიუტანტისთვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაში; მით უმეტეს, **ალექსანდრე ჩივაძის, რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძისა** და **ოთარ გაბელიას** მხარდამხარ. სულ მოკლე პერიოდში ქეცბაია "დინამოს" ძირითადის უცვლელ წევრად და ახალ ლიდერად ჩამოყალიბდა. მალე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს; ეგ კი არა, საბჭოთა კავშირის ნაკრებიც აღარ იყო შორს. ის ნაკრები, რომელსაც 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა ეასპარეზა და რომლის კანდიდატიც ოთხი დინამოელი იყო (**გელა კეტაშვილი, ახრიკ ცვეიბა, კახა ცხადაძე, თემურ ქეცბაია**). თუმცა, ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლად არსებობა გადაწყვიტა და ქეცბაიაც საქართველოში დარჩა. არაერთხელ აგვიღნიშნავს, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატი, მაღალი დონის იყო. თითქმის ყველა გუნდში მრავლად იყო ისეთი ფეხბურთელი, საკავშირო პირველობაზე რომ ჰქონდა ნათამაშები და ოსტატობაც არ დაეწუნებოდათ. და მაინც, ქეცბაია ყველასგან გამორჩეული გახლდათ და ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, რომ სეზონის დასრულების შემდეგ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. და მაინც, იგი უფრო მაღალ დონეზე თამაშს იმსახურებდა; მაგრამ, როგორ უნდა წასულიყო აქედან, როცა ქართული ფეხბურთი სრულ საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა. ქეცბაიამ მეორე ჩემპიონატიც ჩაამთავრა აქ და 1991 წლის ივლისიდან მის კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყო. არადა, გუშინდელი დღესავით გვახსოვს 16 წლის წინანდელი ამბავი. 1991 წლის 3 ივლისი იყო, წინადღით საქართველოს ნაკრებმა თავისი პირველი გასვლითი მატჩი გამარჯვებით დაასრულა (მოლდოვასთან - 4:2) და პირველი გოლი ქეცბაიამ გაიტანა. მაშინ გამოგვიტყდა, მოსკოვის "ტორპედო" და დნეპროპეტროვსკის "დნეპრი" გამზადებულ კონტრაქტს მთავაზობენ, მაგრამ უარის თქმა მინევსო. სხვადასხვა ნიუანსი იყო, მათ შორის, პოლიტიკურიც, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელზე მეტი აღმოჩნდა იმ დროისთვის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის... კვიპროსზე გამგზავრება. საბედნიეროდ, საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ სწორედ "ანორთოსისში" გატარებულმა სამმა დაუვიწყარმა და შთამბეჭდავმა სეზონმა დაუდო სათავე ქართველი ფეხბურთელის ესოდენ ნარმატებულ უცხოურ კარიერას. მერე იყო სოლიდური ტრამპლინი - თემურ ქეცბაია საბერძნეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ აეკ-ში ჩაირიცხა და კვიპროსის არ იყოს, აქაც სამი წელიწადი გუნდის უპირობო ლიდერი და საუკეთესო ფეხბურთელი იყო. კვიპროსსა და საბერძნეთში ქეცბაია ტიტულს ტიტულზე აგროვებდა და არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ ისეთ მწვრთნელებთან მოუწია მუშაობა, როგორებიც **ანგელ იორდანესკუ** და **დუშან ბაევიჩი** იყვნენ. მწვრთნელების თემას შემთხვევით არ შევეხეთ: ქეცბაიას შემდგომშიც ისეთი მწვრთნელები ჰყავდა, სახელოვანზე მეტი რომ ერქვათ - **ბობი რობსონი, კენი დალგლიში, რუუდ გულიტი.** ჰოდა, რატომ გკიკვირს, თემურ ქეცბაია დღესდღეობით, ერთობ წარმატებულ მწვრთნელად რომ ჩამოყალიბდა?

1996 წლის 9 ნოემბერი. საქართველო-ინგლისი. თემურ ქეცბაია, ტონი ადამსი და დევიდ ბექჰემი

...თუმცა, მის ფეხბურთელის კარიერას დავუბრუნდეთ და ხუთწლიანი ბრიტანული ოდისეაც ვახსენოთ. თანაც, აქედან სამი სეზონი ხომ "ნიუკასლში" გაატარა - **ალან შირერის, ფაუსტინო ასპრილას, იონ დალ-ტომასონისა, დავიდ ჟინოლასა** თუ სხვა ვარსკვლავების გვერდით. სნორედ ქეცბაიას "ოქროს" გოლმა ("კროაციასთან") გაიყვანა "ნიუკასლი" 1998 წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე; ორჯერ "უემბლიზე" ინგლისის თასის ფინალშიც ითამაშა, მაგრამ ორივეჯერ ხელი მოეცარა - ჯერ "მანჩესტერთან", მერე - "არსენალთან". ინგლისში და საერთოდ, ევროპაში, ფეხბურთელის სპასპორტო მონაცემებს ყურადღებას არ აქცევენ. ჰო, ეგრეა - მთავარია, თამაშობდე და თუგინდ, 40 წლისა იყავი. ქეცბაიას შემთხვევაშიც იგივე ხდებოდა - ასაკის მატება ხელს არ უშლიდა, ახალ-ახალი გამოწვევები რომ მიეღო. ჯერ ის სცადა, რომ უძველეს ინგლისურ კლუბ "ვულვერჰემპტონს" პრემიერლიგაში დაბრუნებაში დახმარებოდა; მერე კი შოტლანდიაში გადავიდა და "დანდის" ქართული "დიასპორაც" (**გიორგი ნემსაძე, ზურაბ ხიზანიშვილი**) უფრო გაიზარდა. 34 წლის ქეცბაია შოტლანდიელ ქომაგთა კერპი გახდა, კლუბის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს, მაგრამ მძიმე ტრავმისა თუ სხვა ყოფითი მიზეზის გამო, ისევ კვიპროსზე დაბრუნდა. ანუ დაბრუნდა იქ, საიდანაც დაიწყო ქეცბაია-ფეხბურთელის საერთაშორისო კარიერა. თანაც, ამჯერად მოთამაშე-მწვრთნელის რანგში მოგვევლინა და სხვებთან შედარებით აშკარად მოკრძალებული ბიუჯეტის მქონე "ანორთოსისი" ჯერ ქვეყნის თასის მფლობელი გახადა, მერე კი ჩემპიონობაც მოაპოვებინა! და მთავარი - ეს ის დრო იყო, როცა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ დიდ ფეხბურთში **გიორგი ქინქლაძე** დააბრუნა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი მოთამაშე...

...ქეცბაია-ფეხბურთელმა სახელოვანი კარიერა მორიგი ტრიუმფით დაასრულა - ამ გაზაფხულზე "ანორთოსისმა" კვიპროსის თასი მოიპოვა!

...ცალკე სასაუბრო კი არა, ალბათ უფრო მეტია თემურ ქეცბაიას ასპარეზობა საქართველოს ნაკრებში. ის იყო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, რომელზეც ვერავინ იტყვის, ესა თუ ის შეხვედრა ჩააგდო. გამორჩეული სანაკრებო მატჩები? ჩამოთვლა ძალიან შორს ნაგვიყვანს, თუმცა რამდენიმეზე მაინც შევჩერდებით: 1994 წლის 12 ოქტომბერს სოფიაში ბულგარეთთან, 1994 წლის 16 ნოემბერს თბილისში უელსთან (ორი ერთიმეორეზე ლამაზი გოლი გახსოვთ?), 1995 წლის 6 სექტემბერს ნიურნბერგში გერმანიასთან (იქაც - გოლი), 1996 წლის 9 ოქტომბერს პერუჯაში იტალიასთან, 1997 წლის 30 აპრილს "უემბლიზე" ინგლისთან. აღარაფერს ვამბობთ ისრაელთან, ალბანეთთან, პოლონეთთან, საბერძნეთთან, ლიტვასთან, მოლდოვასთან და თუ სხვა ნაკრებებთან ჩატარებულ ბრწყინვალე მატჩებზე, როცა მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა. საერთოდაც, თემურ ქეცბაია ისტორიაში იმითაც შევა, რომ სწორედ მან გაიტანა საქართველოს ნაკრების პირველი გოლი ოფიციალურ შეხვედრაში (უელსთან).

...ორი წლის წინათ, ინტერვიუში გვითხრა: საქართველოს ნაკრებს ცოტ-ცოტა ყველამ რაღაც დავაკელითთო. ჩვეული გულახდილობით თქვა - ზოგ ჩვენ ფეხბურთელს მწვრთნელების კვალიფიკაციაში ეპარებოდა ეჭვი, ზოგიერთი მწვრთნელი კი მაღალი კლასის შემსრულებლების ნაკლებობას მისტიროდა. არადა, ჩვენს თაობას, მართლაც, მეტის მიღწევა შეეძლოო...

მასეც იყო - თემურ ქეცბაიას თაობას, ალბათ, უფრო მეტისთვის უნდა მიეღწია; ან, იქნებ ჩვენ ვითხოვდით უფრო მეტს?..

...2003 წლის 29 მარტს საქართველოს ნაკრები ირლანდიის ნაკრებს მასპინძლობდა. ტრავმისა თუ სხვა მიზეზის გამო, ნაკრებში 2 წლის მერე დაბრუნებულმა თემურ ქეცბაიამ პირველი 45 წუთი ითამაშა და მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გამოსულა. თურმე, ეს ყოფილა თემურისთვის ნაკრებში საიუბილეო, 50-ე და, ამასთან... უკანასკნელი მატჩიც! არადა, ის ნამდვილად იმსახურებდა საქართველოს ნაკრებიდან ლამაზ გაცილებას, ისევე, როგორც მისი თაობის თანაგუნდელები (ერთადერთი **შოთა არველაძეა** რომ შემორჩა დიდ ფეხბურთს); არა უშავს - ქართველი ქომაგის მაგივრად თემურ ქეცბაიას ლამაზ გაცილებას კვიპროსზე მოუწყობენ; ბოლოს და ბოლოს, ამ დამსახურებული კაცისთვის ეს კუნძული ხომ ლამის მეორე სამშობლოა; თანაც, გვერდით უამრავი მეგობრები ეყოლება, მათ შორის, საქართველოდანაც...

გია ᲗᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავური ქრონიკა

ხვალ, ბექჰემის ამერიკული პრეზენტაციაა

NBC ამ ამბავს საათნახევრიან ფილმს მიუძღვნის

ხვალ **დევიდ ბექჰემი** "ლოს ანჯელეს გალაქსის" წევრი გახდება. ამერიკულმა კლუბმა მშობლიურ სტადიონზე, რომელსაც "ჰოუმ დეპო სენტერი" ჰქვია და ლოს ანჯელესის გარეუბანში მდებარეობს, საგანგებო პრესკონფერენცია ნაშუადღევისათვის დანიშნა. 32 ნლის ნახევარმცველის პრეზენტაცია საკმაოდ პომპეზურ ვითარებაში ჩაივლის. მისი დებიუტი კი რამდენიმე დღეში, "ჩელსისთან" საჩვენებელი მატჩისას შედგება. "არისტოკრატები" ახალი სეზონისათვის ემზადებიან და ამერიკულ ტურნეს მართავენ.

ბექჰემის ზღაპრულ კონტრაქტზე ბევრი დაწერა. ამიტომ ამ თემაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. საინტერესო ისაა, რომ დევიდი ამერიკის მასტშაბებითაც კი ერთ-ერთ უსუსტეს კლუბში იასპარეზებს, კლუბში, რომელსაც 12 მატჩში მხოლოდ სამი მოგება აქვს, დასავლეთი კონფერენციის ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზეა და მისი ფეხბურთელების საშუალო თვიური ანაზღაურება 11 500 დოლარს შეადგენს. ბექზს აშფოთებს ის, რომ გულშემატკივარი მისგან სასწაულებს ელის. აი, მისი გუშინდელი კომენტარი: *"შეიძლება, მავანმა იფიქროს, რომ ჩემი ჩასვლის შემდეგ პირველსავე მატჩს 10:0-ს მოვიგებთ, ან ერთდროულად 10 მეტოქის გავცდები და სამ ან ოთხ გოლს შევაგდებ. სინამდვილეში მე უმთავრესად გუნდისთვის ვთამაშობ და ბევრს ვშრომობ."*

MLS-ის 13 კლუბიდან მხოლოდ ხუთი დაასრულებს მიმდინარე ფინანსურ წელინადს მოგებით. "გალაქსი" ერთ-ერთი იმათგანია. მისი შემოსავლების ზრდა პირდაპირ უკავშირდება ბექჰემის ტრანსფერს. პირველად ლოსანჯელესური კლუბის ისტორიაში გაყიდული სეზონური აბონემენტების რაოდენობამ 11 ათასს გადააჭარბა. დევიდის თამაშებზე სრულ ანშლაგებს ელიან. გაზრდილი დასწრება და ახალი სპონსორული კონტრაქტები, რომელთა ნაკლებობას კლუბი აღარ უჩივის, დამატებით კიდევ 20 მილიონ დოლარს ნიშნავს. კლუბის მფლობელი კომპანია "ანშუტც ენთერთეინმენტ გრუფი" კმაყოფილებისაგან ხელებს იფშვნეტს.



დევიდ და ვიქტორია ბექჰემები

მაგრამ საკითხავია, რას გააწყობს ბექჰემი "გალაქსიში", რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამერიკული ლიგის ერთ-ერთი ყველაზე უსახური გუნდია. თანაც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს ამერიკაში განსაკუთრებული ნარმატებებისათვის არ მიუღწევიათ. შტატებში ფეხბურთის პოპულარიზაცია გასული საუკუნის 70-იან ნლებშიც სცადეს. მაშინ ჩრდილო ამერიკის საფეხბურთო ლიგა ჩამოაყალიბეს და **პელეს, ფრანც ბეკენბაუერს, იოჰან კრუიფს, ჯორჯ ბესტსა** და სხვა სუპერფეხბურთელებს იმ დროისათვის ზესარფიანი კონტრაქტები გაუფორმეს. რითი დასრულდა მაშინდელი ჩანაფიქრი? ლიგის გაკოტრებით. მაშინდელსა და დღევანდელს შორის პარალელების გავლება შეცდომა იქნებოდა. სტატისტიკის თანახმად, დღეს ფეხბურთს 14.5 მილიონი ამერიკელი თამაშობს, მაგრამ როცა საქმე კომერციალიზაციას ეხება, ამერიკული ფეხბურთი, კალათბურთი და ბეისბოლი ევროპულ სოკერს საგრძნობლად უსწრებენ.

დასასრულს გეტყვით, რომ ტელეკომპანია NBC ამზადებს საათნახევრიან ფილმს, რომელშიც დეტალურად იქნება აღნუსხული ბექჰემების ამერიკაში ჩასვლის ქრონიკა. ამ ფილმში აქცენტი დევიდის მეუღლეზე იქნება გადატანილი და სათაურადაც ასევე ერქმევა: *"ვიქტორია ბექჰემი: ამერიკაში ჩასვლა"*. ფილმს ეთერში 16 ივლისს გაუშვებენ.

კარლოს ტევესი

ტრანსფერის მოლოდინში

ვესტ ჰემი ტევესს არ თმობს

ბოლო პერიოდის ტრადიციული შეკითხვა: ვის ეკუთვნის არგენტინელი თავდამსხმელი

მარადაც, ვისი საკუთრებაა **კარლოს ტევესი**? ამ საკითხის გარკვევამდე არგენტინელი ფეხბურთელი "მანჩესტერ იუნაიტედში" ვერ ჩაირიცხება. ინგლისური სააგენტოების ცნობით, "ვესტ ჰემი" ფეხბურთელის კონტრაქტის შეჩერებას არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ტევესის სატრანსფერო უფლებებს **კია ჯურაბჩიანის** "მედია სპორტს ინვესტმენტი" ფლობს, ის "ვესტ ჰემის" მოთამაშის რანგშია რეგისტრირებული. ამ ლაფსუსის გამო ლონდონელები უმკაცრესად დაისაჯნენ: საფეხბურთო ასოციაციამ მათ 5 მილიონი გირვანქა გადაახდევინა. დღეს, როცა ინტენსიურად განიხილება კარლოსის "იუნაიტედში" ტრანსფერის საკითხი და სახელდება გარიგების სავარაუდო ღირებულებაც - 20 მილიონი გირვანქა - "ვესტ ჰემს" სურს, ამ თანხიდან მასაც რაღაც შეხვდეს, მინიმუმ იმდენი მაინც, რომ გადახდილი ჯარიმა აანაზღაუროს. მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ ტევესის ტრანსფერის გამო თავს გადამხდარი უსიამოვნებების გამო "ჩაქუჩებს" არგენტინელს უხმაუროდ გაათავისუფლებდნენ, როგორც ეს **ხავიერ მასკერანოს** "ლივერპულში" ტრანსფერისას გააკეთეს (მასკერანოს სანაცვლოდ გადახდილი მთელი კომპენსაცია ჯურაბჩიანის ჯიბეში წავიდა), მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. იურიდიულად ტევესი "ვესტ ჰემის" საკუთრებაა. ამიტომ დაინტერესებულმა კლუბმა კეთილი უნდა ინებოს და მის ტრანსფერზე ლონდონელებთან აწარმოოს მოლაპარაკება. იმასაც შეგახსენებთ, რომ კარლოსის კონტრაქტი 2010 წელს იწურება და მასში არ არის გათვალისწინებული პუნქტი, რომელიც ფეხბურთელის გათავისუფლებას ითვალისწინებს.

მოვლენებს თვალს ადევნებს საფეხბურთო ასოციაცია. ტევესისა და მასკერანოს ტრანსფერების გამო კლუბს პრემიერლიგიდან გაგდებაც კი დაუპირეს. "ვესტ ჰემმა" უსიამოვნება ჯურაბჩიანის MSI-სთან გარიგებით აიცილა თავიდან. MSI-მ ტევესთან ურთიერთობა გაწყვიტა (ოფიციალურად). ფეხბურთელი "ვესტ ჰემის" სრულფასოვან საკუთრებად გამოაცხადდა და ასოციაციამაც ასე დაარეგისტრირეს. მაგრამ თუ დღეს აღმოჩნდება, რომ კარლოსის სატრანსფერო თანხა "ვესტ ჰემმა" კი არა, მესამე მხარემ აიღო, გამოვა, რომ ლონდონელები ინგლისის სატრანსფერო კანონმდებლობას ისევ უხეშად არღვევენ და განმეორებითი უკანონობის შემთხვევაში, სასჯელი არ ასცდებათ. "მანჩესტერ იუნაიტედს" ჯურაბჩიანსა და პირადად ტევესთან გარიგების პირობები შეთანხმებული აქვს, მაგრამ "ვესტ ჰემის" გააქტიურება იმას ნიშნავს, რომ ტრანსფერი გაურკვეველი ვადით უნდა გადაიდოს.

გასაოცარი შეთავაზება

ბერლუსკონი 89 მილიონს ჩამოდის

მილანის პრეზიდენტი რონალდინიოს ტრანსფერისათვის ყველაფერზე თანახმაა, ფარული შეთანხმება ხუთწლიან კონტრაქტზე?

"მილანის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** თანახმაა, უკანასკნელ ცენტამდე გადაიხადოს **რონალდინიოს** კონტრაქტის გათვალისწინებული გამოსასყიდი თანხა და ფეხბურთელი "სან სიროზე" ჩაიყვანოს. იტალიის ყოფილ პრემიერს ეს სიამოვნება 89 მილიონი ევრო დაუჯდება. ტრანსფერის შემთხვევაში, რონი მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი გახდება. ის საგრძნობლად გადაუსწრებს **ზინედინ ზიდანს**, რომელიც ამ ტიტულს 2001 ნლის შემდეგ ფლობს. შეგახსენებთ, ექვსი ნლის წინათ "რეალმა" "იუვენტუსს" მის სანაცვლოდ 65 მილიონი დოლარი გადაუხადა, რაც დაახლოებით 45 მილიონი ევროს ტოლია.

მილანელებს არასოდეს დაუმალავთ, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავის შეძენა სურთ. თუ ფეხბურთელი ოდესმე "ბარსელონიდან" აბარგებას გადაწყვეტს, მილანელები მას არავის დაუთმობენ, თუმდაც საამისოდ ჯიბის გამოფხეკა გახდეს საჭირო. "ასის" ცნობით, ასეთი შეთავაზება გარიგების ალბათობას საგრძნობლად ზრდის. ესპანური გამოცემა უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ რონალდინიოსა და "მილანს" შორის ფარული შეთანხმება უკვე მიღწეულია. ბრაზილიელი "როსონერისთან" ხუთნლიან კონტრაქტს გააფორმებს, ნლიურად 6 მილიონ ევროს დაიბევებს და მის იმიჯთან დაკავშირებული შემოსავლების 100 პროცენტიც მთლიანად მას ერგება. რონალდინიოს "ბარსასთან" კონტრაქტი 2010 ნელს ეწურება. კატალონიელებს მისი 2014 წლამდე გაგრძელება სურთ, მაგრამ ჯერჯერობით მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობს. ბერლუსკონის სამი ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის - **კაკას, რონალდოსა** და რონალდინიოს ერთ გუნდში ხილვა სურს.

რონალდინიო

ტრანსფერი

მილიტო, ოთხი ნლით ბარსელონაში

გაბრიელ მილიტო "ბარსელონაში" ითამაშებს. "სარაგოსასთან" შეთანხმება მიღნეულია. 26 ნლის ცენტრალური მცველი ოთხნლიანი კონტრაქტს გააფორმებს. პერსონალური დეტალები უცნობია. არაგონული კლუბი კომპენსაციის სახით 20 მილიონ ევროს მიიღებს. კატალონიელებს მილიტო **კარლეს პუიოლის** შემცვლელად სჭირდებათ. კაპიტანმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. "ბარსა" რომაელ **კრისტიან კივუსაც** ეპატიჟებოდა, მაგრამ გარიგება არ შედგა. რუმინელმა ისეთი ხელფასი მოითხოვა, რომ მის გადახდაზე თვით "ბარსელონამაც" კი უარი თქვა. მილიტო "სარაგოსაში" 2003 ნელს ჩაირიცხა. იმ ზაფხულს გაბრიელს მადრიდის "რეალი" ყიდულობდა. ფეხბურთელი "რეალის" ბაზაზეც კი მივიდა სამედიცინო შემოწმების გასავლელად, რა დროსაც მუხლის ტრავმა აღმოუჩინეს. მადრიდელთა ექიმებმა მას ცუდი რეკომენდაცია გაუწიეს. გაოგნებულმა მილიტომ "ინდეპენდიენტში" დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ამ დროს "სარაგოსამ" გაუფორმა კონტრაქტი და არ შემცდარა: იმ სეზონში გაბრიელი პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ ალმოჩენად იქცა. "რეალმა" კი მომდევნო ზაფხულს ის **ჯონათან ვუდგეიტი** შეიძინა, რომელიც ესპანეთში დაშავებული ჩავიდა და ტრავმის გამო მომდევნო ნელინადნახევარი ლაზარეთში გაატარა. ასე იყო თუ ისე, მილიტოს კარიერა შთამბეჭდავად ვითარდება. ის კატალონიური გრანდის მეოთხე შენაძენია **ტიერი ანრის, იაია ტურესა** და **ერიკ აბიდალის** შემდეგ.

რეალმა დრენტი შეიგულა

"ფეიენოორდი" "რეალს" მოურიგდა. ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **როისტონ დრენტი**, ალბათ, სამეფო კლუბში ითამაშებს. ამ ინფორმაციას გაზეთი "მარკა" ავრცელებს. ესპანელები 6 მილიონ ევროს გადაიხდიან. დრენტს თანხმობა ჯერ არ უთქვამს. ის არდადეგებს მშობლიურ სურინამში ატარებს. 20 ნლის ყმანვილს "ჩელსიც" ეპატიჟებოდა. მისი საყვარელი კლუბი "ბარსელონაა", თუმცა კატალონიელებს როისტონის შეძენა აზრად არ მოსვლიათ, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მაინც.

ბენაიუნი ლივერპულში ჩაირიცხა

"ვესტ ჰემის" ნახევარმცველი **იოსი ბენაიუნი** "ლივერპულში" ჩაირიცხა. **რაფა ბენიტესმა** ის "ატლეტიკოში" ნასული **ლუის გარსიას** შემცვლელად აიყვანა. გარსიამ მადრიდულ კლუბს **ფერნანდო ტორესის** სანაცვლოდ მიაშურა. ესპანელებმა ამ ფეხბურთელის გარდა, კიდევ არა ერთი მილიონი ევრო მიიღეს. ბენაიუნი გარსია არ არის. ეს უკანასკნელი უფრო შემტევი სტილის ფეხბურთელი იყო და გოლებსაც ხშირად იტანდა. ოსტატობა "ლივერპულის" ახალწვეულსაც არ აკლია. "ვესტ ჰემს" მისი შენარჩუნება სურდა და სარფიანი კონტრაქტიც შესთავაზა, მაგრამ ისრაელელმა ლეგიონერმა ფულსა და ძირითადში გარანტირებულ ადგილს "ენფილდზე" უმძაფრესი კონკურენცია არჩია.

რუსეთი vs ინგლისი ხალიჩაზე

რუსეთი ინგლისის ნაკრებს ხელოვნურსაფარიან მოედანზე უმასპინძლებს. ქვეყნის საფეხბურთო კავშირი შესარჩევი მატჩისათვის "ლუჟნიკის" დაქირავებას აპირებს. სტადიონის დირექციასთან მიღნეული იყო შეთანხმება, რის თანახმადაც ხელოვნური საფარი ბუნებრივით უნდა შეეცვალათ, მაგრამ ეს პირობა რატომღაც არ შესრულდა. ახლა უკვე 99.9-პროცენტიანი სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ პირველად ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ამ ქვეყნის ნაკრებს საკვალიფიკაციო მატჩის ჩატარება ხალიჩაზე მოუნევს. რატომ თქვეს უარი "ლოკომოტივის" სტადიონზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან მარტივია. იმიტომ, რომ "ლუჟნიკი" 80 ათას მაყურებელს იტევს, "ზერკიზოვოს" ტრიბუნები კი მხოლოდ 30 ათასზეა გათვლილი. შეგახსენებთ, ამ გუნდების მოსკოვური პაექრობა 17 ოქტომბერს გაიმართება. იქამდე კი, 12 სექტემბერს, რუსეთი "უემბლის" ესტუმრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრისტოფ მეტცელდერი

რეალი. ტრანსფერები

გადაწყდა: სავიოლაც მადრიდში

კალდერონმა მეტცელდერს ყველაზე ინტელიგენტი მცველი უწოდა

კრისტოფ მეტცელდერის (დორტმუნდის "ბორუსიიდან"), რომელიც "სანტიაგო ბერნაბეუზე" გუშინ ოფიციალურად წარადგინეს და **პეპეს** (პორტუდან) შემდეგ, მადრიდის "რეალმა" "ბარსელონის" არგენტინელი ფორვარდი **ხავიერ სავიოლაც** გადაიბირა! ეს ინფორმაცია გუშინ ესპანურმა მედიამ გაავრცელა - გადაწყვეტილია, რომ "ბაჭია" მომავალი სეზონიდან კატალონიური გრანდის მოსისხლე მტრის ფეხბურთელი გახდება.

საუბრები იმის შესახებ, რომ 25 წლის სავიოლა "ბარსადან" "რეალში" გადაბარგდებოდა, რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო და მართალია, თავიდან ეს ტრანსფერი ძალიან არარეალურად მოჩანდა, მაგრამ მაინც არ არის გასაკვირი ის, რომ სავიოლამ "ბარსელონა" დატოვა. ხავიერს კატალონიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში თამაში თითქმის არ უწევდა და მხოლოდ მაშინ ენდობოდნენ (ისიც მეტ-ნაკლებად), როცა **სამუელ ეტო'ომ** ტრავმა მიიღო. ახლა კი, როცა "ბარსამ" **ტიერი ანრიც** გადაიბირა, სავიოლას შანსი, სასტარტოში ეთამაშა, კიდევ უფრო შემცირდა. სავიოლამ გასულ სეზონში სულ 18 მატჩი მიიღო მონაწილეობა (5 გოლი), მაგრამ აღსანიშნავია, რომ შეუცვლელად არცერთ მატჩში არ უასპარეზია. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთ რადიოინტერვიუში "რეალის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** არგენტინელი ძალიან აქო, ახალგაზრდა, უნიჭიერესი ფორვარდია, რომელსაც დიდად ვაფასებო.

ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, სავიოლა დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც კონტრაქტს გააფორმებს და "სანტიაგო ბერნაბეუზე" ოფიციალურად წარადგენენ. გაირკვა, რომ მისი ხელფასი წლიურად 2.5 მილიონი ევრო იქნება - ანუ, უფრო ნაკლები, ვიდრე "ბარსელონაში" იღებდა. აღსანიშნავია, რომ მისი გადაბირება "სარაგოსასა" და "ვილიარეალსაც" სურდათ.

პეპეს, მეტცელდერისა და სავიოლას გარდა, შუსტერს "რეალში" **სოლდადო** (ოსასუნა) და **ჟულიო ბაპტიშტა** (არსენალი) დახვდებიან. როგორც იცით, ეს ფეხბურთელები განათხოვრებულები იყვნენ. შეგახსენებთ, რომ "სამეფო გუნდი" დატოვეს **რობერტო კარლოსმა** ("ფენერბაჰჩეში" წავიდა), **დეივიდ ბექჰემმა** (გალაქსი), **ხოსე ანტონიო რეიესმა** ("არსენალში" დაბრუნდა) და **დიეგო ლოპესმა** (ვილიარეალი).

რაც შეეხება მეტცელდერის პრეზენტაციას. გერმანელი მცველი ტრადიციულად "რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** წარადგინა. ამ უკანასკნელმა მეტცეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური და ინტელიგენტი მცველი უწოდა. *"რეალი" მსოფლიოში საუკეთესო გუნდია. აქ თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. ბედნიერი ვარ, რომ მე ეს ოცნება ამიხდა,"* - განაცხადა მეტცელდერმა, რომელმაც "სამეფო გუნდთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და იქვე დასძინა, - *"მინდა, რაც შეიძლება მეტი თამაში ჩავატარო და "რეალთან" ერთად არაერთი ტიტული მოვიგო. ძალიან მიხარია ისიც, რომ გუნდის მწვრთნელად ჩემი თანამემამულე, ლეგენდარული ბერნდ შუსტერი დაინიშნა."* **გიუნტერ ნეტცერის**, **პაულ ბრაიტნერის**, **ული შტილიკეს**, შუსტერისა და **ბოდო ილგნერის** შემდეგ, მეტცე მე-6 გერმანელი ფეხბურთელია, რომელიც "რეალში" ითამაშებს...

გოტფრიდ ლენცი

ბრაზილიელები დონის გამარჯვებას ულოცავენ

კოპა ამერიკა 2007. 1/2 ფინალი

დრამატული გამარჯვება ურუგვაისთან

პენტაკამპეონები ფინალში ჟილბერტო სილვას გარეშე ითამაშებენ

ბრაზილია-ურუგვაი 2:2 პენ. 5:4

გოლები: 0:1 მაიკონი (12), 1:1 ფორლანი (45), 1:2 ბაპტიშტა (45), 2:2 აბრეუ (70).

პენტაკამპეონები კოპა ამერიკის ფინალში გავიდნენ. მათ ურუგვაისთან დრამატულ ნახევარფინალში გაიმარჯვეს. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, 2:2. 90 წუთის შემდეგ პირდაპირ 11-მეტრიანების სერია დაინიშნა. იქ კი **დონინმ დიეგო ლუგანოს** პენალტი აუღო.

ბრაზილია მე-12 წუთზე დაწინაურდა: **ფაბიან კარინმ მინეიროს** დარტყმა ცხვირწინ მოიგერია. ურუგვაელმა მცველებმა **მაიკონს** ხელი ვერ შეუშალეს და მანაც აუღელვებლად დაამატა, 1:0. ამის შემდეგ სტადიონს ტექნიკური პრობლემები შეექმნა. განათების ოთხიდან ერთი ბოძი საერთოდ გაითიშა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ არბიტრმა და მეტოქე გუნდებმა თამაშის გაგრძელება გადაწყვიტეს. გადაწყვიტეს და შთამბეჭდავი მატჩიც გამოცხვა. **ჟულიო ბაპტიშტამ** საჯარიმო სახიფათოდ დაარტყა. ბურთი ხარიხას სანტიმეტრებში გადაევლო. 30-ე წუთისათვის დონი რომ არა, **დიეგო ფორლანი** და **ალვარო რეკობა** თავისიანებს წინ გაიყვანდნენ. ტაიმის მიწურულს ურუგვაი საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა და გაათანაბრა კიდეც: 45-ე წუთზე ფორლანმა ტურნირის მესამე გოლი გაიტანა, 1:1.

ბრაზილია უმალ გამოცოცხლდა. რამდენიმე წამში ურუგვაელთა კარში დანიშნულ საჯარიმოს გოლი მოჰყვა. **ჟილბერტო სილვას** ჩანოდებულს ბაპტიშტა გამოეხმაურა და კარინი თავური დარტყმით დაამწუხრა.

შესვენების შემდეგ ურუგვაელთა კართან უმალ საგოლე მომენტი შეიქმნა. კარინის **რობინიოს** იერიშის მოსაგერიებლად მთელი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა. მაგრამ თამაში ნელ-ნელა გათანაბრდა და ანგარიში მეორედაც საყაიმო შეიქმნა. შეცვლაზე შესულმა **სებასტიან აბრეუმ** ფორლანის თავური პასით ისარგებლა და ტაბლოზე 2:2 აციმციმდა. ამის შემდეგ მეტოქეები დამშვიდნენ და ერთმანეთის ნახევრისაკენ თითქმის არც გაუხედავთ. კოპა ამერიკის წესების მიხედვით, დამატებითი დრო არ დანიშნულა. გუნდები პენალტებისათვის მოემზადნენ. დონიმ პირველსავე ცდაზე იყოჩაღა და ფორლანი გააწბილა. იმ დროს, როცა ბრაზილიელები 3:2 იგებდნენ, კარინმ **აფონსოს** დარტყმა მოიგერია. სამი დარტყმის შემდეგ ანგარიში ისევ გათანაბრდა, 4:4. ბურთთან ბრაზილიელი **ფერნანდო** მივიდა და ააცილა. ურუგვაელ **პაბლო გარსიას** შეეძლო, თამაშის გმირი გამხდარიყო, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. **ჟილბერტომ** მეხუთედ აიღო მეტოქის კარი, დონიმ კი ლუგანოს საპასუხო 11-მეტრიანი მოიგერია. აი, ასეთი ნარვიულობის ფასად ბრაზილიელებმა გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. კვირას ისინი ტიტულის შენარჩუნებასა და რიგით მერვე კოპა ამერიკის დაუფლებას შეეცდებიან. **ოსკარ ტაბარესის** შეგირდებს კი სანუგეშოდ მესამე ადგილისთვის თამაშიღა შერჩათ.

დუნგა: *"იმისთვის, რომ გაიმარჯვო, ათასი ტკივილისა და ტანჯვის გავლა გმართებს.მადლობა ფეხბურთელებს. მათ ძალიან მოინდომეს. ნებისმიერ მათგანს შეეძლო, მომქანცველი სეზონის შემდეგ დასასვენებლად წასვლა, მაგრამ ამის ნაცვლად ეროვნული გუნდის სამსახური არჩიეს."* ფინალში ბრაზილიას ჟილბერტო სილვა ვერ დაეხმარება. მან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ავტომატური დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. დუნგა მშვიდადაა: *"ბრაზილიას კარგად დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს. ჟილბერტოს შეცვლა რამდენიმე ფეხბურთელს შეუძლია. საუკეთესო კანდიდატს ამ დღეებში შევარჩევთ. აუცილებლად გავითვალისწინებთ მოთამაშეთა ფიზიკურ კონდიციებსაც. ზოგიერთი მათგანი ძალიან დაღლილია. ფინალში ისინი ითამაშებენ, რომლებიც კვირას საუკეთესო ფორმაში იქნებიან."*

რობინიოს თქმით, ურუგვაისთან მატჩი ბრაზილიის საუკეთესო თამაში არ ყოფილა: *"დიახ, არცთუ ისე კარგად ვიასპარეზეთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენი გუნდი ფინალშია. ესე იგი, მიზანი მიღწეულია."* მცველ **ჟუანის** აზრით, კრიტიკოსები ახლა მაინც უნდა გაჩუმდნენ და მთავარი მწვრთნელის მიერ გაწეული სამუშაო დააფასონ: *"ყველაფერმა, რაც ვარჯიშებზე დავხვეწეთ, შედეგი გამოიღო. ბრაზილია ფინალშია."*

თამაშის გმირად მეკარე დონი დაასახელეს. მან ასეთი განცხადება გააკეთა: *"დღეს ჩემი კარიერის ყველაზე ნათელი დღეა. ოცნება ამიხდა. არ მიკვირს, რომ ტაფარელის შემდეგ ჩემს შესაძლებლობებს სკეპტიკურად აფასებენ. ყველას აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ამავე დროს, ძალ-ღონეს არ ვიშურებ, რომ საზოგადოებას წარმოდგენა შევუცვალო. ყველაფერში იღბალია საჭირო, მაგრამ იღბალთან ერთად, ოსტატობაც უნდა გაგაჩნდეს."* ნლევანდელი კოპა ამერიკა პირველი ტურნირია, სადაც რომაელი გოლკიპერი პენტაკამპეონების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს.

ჰამბურგი

ვან დერ ვაარტის ბოლო სეზონი

და მერე იუვეში, ნედვედის შემცვლელად?

"ჰამბურგის" გულშემატკივრებს საინერვიულო არ ელევათ. ისინი თავიანთი ვარსკვლავის, HSV-ს სულისა და გულის, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გამო დარდობენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვან დერ ვაარტისთვის მომავალი სეზონი "ჰამბურგში" უკანასკნელი იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ჯერჯერობით უარს ამბობს. მის ხელშეკრულებას ვადა 2010 წელს ეწურება და ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებმა კონტრაქტის 2011 წლამდე გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ რაფაელის მრჩეველ **სიორენ ლერბიუსგან** ამ ეტაპზე უარი მიიღეს. ვან დერ ვაარტის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2008/09 წლების სეზონის შემდეგ, ნახევარმცველს გუნდის დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლება. ასე რომ, "ჰამბურგს" ისღა დარჩენია, რომ თავისი ლიდერი გაისად გაყიდოს, რათა მის სანაცვლოდ დიდი ფული მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰოლანდიელი ორი წლის შემდეგ 1.5 მილიონად გაიყიდება. თანაც, ვან დერ ვაარტს ახლავე უდგას მთხოვნელთა უდიდესი რიგი. ფაქტობრივად, არ არსებობს ევროპული გრანდი, რომლის სასურველ მოთამაშეთა სიაში რაფაელი არ ფიგურირებს.

ამრიგად, წინდაწინვე ცნობილია, რომ ვან დერ ვაარტისთვის ეს უკანასკნელი ჰამბურგული სეზონი იქნება. მისი თანაგუნდელი და თანამემამულე **იორის მატიისენი** დარწმუნებულია, რომ რაფაელი მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან აიბარგება და კარიერას რომელიმე სუპერკლუბში გააგრძელებს. *"ვფიქრობ, ეს სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება ამ გუნდში. რაფაელი არაჩვეულებრივი ფეხბურთელია და ჩემი აზრით, "ჰამბურგში" გატარებული სამი წლის შემდეგ, უკვე იქნება იმის დრო, რომ ერთი საფეხურით ამაღლდეს. თუკი მომავალ სეზონში ისევ კარგად ითამაშებს და ევროპის ჩემპიონატ ზეც გაიბრწყინებ!, გრანდები აქ აღარ გააჩერებენ,"* - აცხადებს მატიისენი და "ჰამბურგის" ხელმძღვანელებს ვან დერ ვაარტის შემცვლელის ძებისკენ მოუნოდებს. რაფაელის შემცვლელის ძებნა HSV-ს შეფებმა უკვე დაიწყეს. მართალია, სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი** ჯერ კიდევ იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი კონტრაქტს გააგრძელებს, მაგრამ არც იმას მალავს, რომ ალტერნატივების ძებნა დაწყებულია. ამის პირველი ნიშანი ის გახლდათ, რომ ჰამბურგელები ბრაზილიელ **კარლოს ალბერტოს** უმიზნებდნენ - ფეხბურთელს, რომელიც "ვერდერში" გადადის.

მაინც სად გადავა ჰოლანდიელი? ამაზე მსჯელობა ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ ყურადსაღებია "იუვენტუსის" აქტიურობა. "ბებერ ქალბატონს" რაფაელი ახლავე სურს, მაგრამ ტრანსფერი თითქმის გამორიცხულია, რადგან HSV ვან დერ ვაარტს წელს არ შეელევა. ტურინში ჰოლანდიელს **პაველ ნედვედის** შემცვლელად მოიაზრებენ და რაკი ჩეხი გაისად კარიერის დასრულებას აპირებს, დღეისათვის ყველაზე რეალურად რაფაელის ტურინში გადაბარგება მოჩანს.

შეგახსენებთ, რომ ვან დერ ვაარტი "ჰამბურგში" 2005 წელს გადავიდა და მაშინვე გუნდის ლიდერი და უმთავრესი ფიგურა გახდა. პირველსავე სეზონში მან ფაქტობრივად მარტომ გაიყვანა გუნდი ჩემპიონთა ლიგაში, გასულ სეზონში კი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახლდათ იმისა, რომ HSV-მ ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნა, საბოლოოდ კი ინტერტოტოს თასის საგზურიც კი მოიპოვა. რაფაელის ერთადერთი ნაკლი (თუ შეიძლება, რომ ამას ნაკლი ეწოდოს) ის გახლავთ, რომ ის ხშირად იმტვრევა. როცა ვან დერ ვაარტი ლაზარეთშია, "ჰამბურგს" თამაში აშკარად არ მისდის ხოლმე. აქვე გეტყვით, რომ 24 წლის ნახევარმცველი მომავალ, სავარაუდოდ, უკანასკნელ ჰამბურგულ სეზონშიც გუნდის კაპიტანი იქნება. ეს მთავარმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** დაადასტურა.

გოტფრიდ ლენცი

რაფაელ ვან დერ ვაარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

ნედვედიც რჩება!

ნედვედისა და ახალი იუვენტუსისთვის ინტერთან დაპირისპირებები კვლავაც უმნიშვნელოვანესი იქნება

"იუვენტუსმა" კიდევ ერთი დიდი ფიგურა შეინარჩუნა. მიუხედავად **პაველ ნედვედის** ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით შექმნილი სირთულეებისა, გუშინ ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც მხარეებს სურდათ. ცოტა ხნის წინათ, ნედვედმა ფეხბურთიდან შესაძლო წასვლის თაობაზე გააკეთა განცხადება. ამის მიზეზად ასაკი სახელდებოდა. მერე გაირკვა, რომ ნედვედი უკმაყოფილო იყო კლუბის მხრიდან მისი პერსონისადმი გულგრილი დამოკიდებულებით.

ორშაბათს, პირად აგენტ **მინო რაიოლასთან** ერთად, ის "იუვეს" გენერალურ მენეჯერ **ჟან-კლოდ ბლანს** შეხვდა. მოლაპარაკების დროს ხელფასის საკითხი განიხილეს. ნედვედი შეთავაზებით უკმაყოფილო დარჩა და ფეხბურთიდან მისი წასვლაც უფრო რეალური გახდა. რაც შეეხება ხელფასს, აქ უნდა გავიხსენოთ, რომ შარშან ნედვედი ჯამაგირის ლამის 50-პროცენტიან შეკვეცაზე დათანხმდა და გუნდს სერია B-ში გაჰყვა. ახლა კი "იუვენტუსი" ამ შეკვეცილი ხელფასის მხოლოდ ნაწილობრივ აღდგენაზე იყო ყაბულს, რამაც, ბუნებრივია, ფეხბურთელის უკმაყოფილება გამოიწვია...

...მაგრამ საყურადღებო იყო ტურინელთა პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი ჯილის** სიტყვები ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში - დარწმუნებული ვარ, პაველი ჩვენთან დარჩებაო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ "ქალბატონი" მზადყოფნას გამოთქვამდა, ჩეხი ვეტერანის ფინანსური მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა...

და აი, გუშინ, ნედვედმა "იუვეს" სპორტულ დირექტორ **ალესიო სეკოსთან** ერთად ისადილა. როგორც ჩანს, ასეთი საკითხები სუფრასთან უფრო წარმატებით წყდება. გადაწყდა კიდეც: ჩეხი ტურინში კონტრაქტით დარჩენილ ერთ სეზონსაც გაატარებს, თანაც მომატებული ხელფასის პირობებით. აი, ასე.

ამ წელიწადზე მეტია, რაც პაველ ნედვედს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ და ყველაზე ლოიალურ ადამიანად მიიჩნევენ, რაც მან დაამტკიცა კიდეც, როცა ურთულეს პერიოდში "იუვენტუსი" არ მიატოვა. ახლა, "იუვენტუსი" და ნედვედი, სერია B-ში დაქვეითებისა და იქ გამარჯვების შემდეგ, ელიტას დაუბრუნდნენ და ჩეხი ნახევარმცველი უახლოეს მომავალში ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს...

ადამიანს როცა უამრავი მეტსახელი აქვს, ხალხმა არც კი იცის, რომელი ერთი გამოხატავს მის ამა თუ იმ თვისებას. "იუვენტუსის" ნახევარმცველი პაველ ნედვედი ცნობილია, როგორც "რაკეტა", "ჩეხური ზარბაზანი", "მორბენალი ცხენი", "დათვი" და "დურასელი" (ელემენტი, რომელიც ყველაზე დიდხანს ძლებს). ჩამოთვლილი მეტსახელები 35 წლის ჩეხი სპორტსმენის მრავალმხრივობაზე მიუთითებს და არც არავის უკვირს, რომ უკვე 10 წელიწადზე მეტია, ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

ცოტას თუ შეუძლია, ორივე ფეხითა და ერთნაირი სიძლიერით დარტყმა. მწვრთნელები თავიანთი გუნდის მცველებს მიუთითებენ ხოლმე თავდამსხმელის სუსტი ფეხისკენ, მაგრამ ნედვედის წინააღმდეგ ეს რჩევა არ გამოდგება, რადგან ის ორივე ფეხზე მყარად დგას. და ასევე, ცოტა თუ უძლებს ამგვარ ფენომენალურ შრომასა და დაუღალავ სირბილს.

ამ თვისებებს, შეიძლება, დაემატოს ბურთის კონტროლი, მოედნის ხედვა და გამარჯვების საუცხოო ნყურვილი, რაც დაეხმარა მას ერთი ოთახი გაეკეთა იმ ჯილდოებით, რომლებიც სამ სხვადასხვა კლუბში თამაშისას მოიპოვა და კიდევ, "ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთით, რითიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს ასაჩუქრებენ..

იტალიის სერია B-ში გატარებული სეზონის შემდეგ, ნედვედის დამახასიათებელ თვისებებს კიდევ ერთი დაემატება: ლოიალობა. დათქმული მატჩების სკანდალში გახვევის, ჩამოქვეითებისა და 9 ქულით დაჯარიმების შემდეგ, ესპანეთისკენ აიღეს გეზი ისეთმა მოთამაშეებმა, როგორებიც არიან ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი. ნედვედი კი "ბებერი ქალბატონის" ერთგული დარჩა...

ოქროს ბურთი, ნედვედის უმაღლესი პერსონალური ჯილდო

პაველ ნედვედი

განუმეორებელი ელემენტი

არაჩვეულებრივი ადამიანი

ფეხბურთელს საუცხოო არჩევანი შესთავაზეს "მანჩესტერ იუნაიტედმა", "ჩელსიმ" და "მონაკომ". შარშან, გაზაფხულზე, **პაველ ნედვედმა** ახსნა: *"ჩელსი" კონტრაქტზე წამოვიდა და საოცრად დიდი თანხა შემომთავაზა, მაგრამ რაღაც არ მომეწონა. კონტრაქტის მიხედვით, აქ კიდევ ერთი წელიწადი დავრჩები და ეს ჩემთვის დიდი პატივია".*

ნედვედის დარჩენის მიზეზად სახელდება ფეხბურთი, ოჯახი და **ანიელების** ოჯახისადმი პატივისცემა. *"საცხოვრებლად, მონაკო საუცხოო ადგილია, მაგრამ საფრანგეთის ლიგაში თამაშისთვის უფრო მეტი მოტივაცია უნდა მქონოდა. რატომ უნდა ამეკრა ოჯახთან ერთად გუდა-ნაბადი ერთი ან ორი სეზონისთვის? "იუვენტუსს" უნდა დავეხმარო. ანიელების ოჯახისგან დავალებული ვარ. ისინი დიდ ყურადღებას მითმობენ და პატივს მცემენ", -* აღნიშნა ნედვედმა.

სერია A-ში "იუვენტუსის" დაბრუნებაში ნედვედს უდიდესი წვლილი მიუძღვის. მისმა მაშინდელმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა** თქვა: *"როგორც ფეხბურთელი, ნედვედი საუცხოოა, როგორც ადამიანი - არაჩვეულებრივი. მისი წვლილი განუმეორებელია. პაველის წყალობით, ჩვენ ვაღნევთ არა მარტო ტაქტიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც. როცა ის მოედანზეა, გუნდი სულ სხვანაირად თამაშობს".*

მწუხარება და სიხარული

ნედვედი დაიბადა 1972 წლის 30 აგვისტოს, სოფელ სკალნაში, პრაღასთან ახლოს მბედარე ქალაქ ხებისგან ცოტა მოშორებით. მის დედ-მამას, **ანასა** და **ვაცლავს** სურდათ, რომ პაველი ბუღალტერი გამოსულიყო, მაგრამ იმ პერიოდში ჩეხოსლოვაკიაში ფეხბურთის ბუმი იყო. ნედვედი სკალნასა და ხების იუნიორთა გუნდში თამაშობდა.

19 წლის ასაკში მისი დებიუტი პრაღის "დუკლაში" შედგა. მომდევნო სეზონში კი "სპარტაში" აღმოჩნდა. აქ, 1993-1995 წლებში, ჩეხოსლოვაკიის ლიგის სამი ტიტული მოიპოვა. ევრო 96-ზე, ჩეხეთის უმთავრეს გუნდთან ერთად, ფინალში გასვლისა და საუკეთესო თამაშის შემდეგ, ნედვედი "ლაციომ" მიიწვია. აქ მან ხუთი წარმატებული სეზონი გაატარა. 2001 წელს "იუვენტუსმა" სათანადოდ დააფასა მისი შრომა და მადრიდის "რეალში" წასასვლელად გამზადებული ფრანგი გენიოსის, **ზინედინ ზიდანის** შემცვლელად მიიწვია. "ლაციომ" ამ ტრანსფერით 40 მილიონი ევრო მიიღო...

მა:ელი კარიერის განმავლობაში ნედვედმ. გამარჯვებით გამოწეული სიხარულიც გამოსცადა და მარცხის მწუხარებაც. 2003 წელს, მისი დახმარებით, "იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში "მილანის" წინააღმდეგ ითამაშა, მაგრამ "რეალთან" ნახევარფინალში მიღებული გაფრთხილების გამო, ჩეხმა სეზონის უმთავრესი მატჩი გამოტოვა. ფინალის შემდეგ მან მინდორზე დაიჩოქა და ქვითინი მორთო. მიუხედავად ამისა, ნედვედის ძალისხმევა უყურადღებოდ არ დარჩენილა და **იოზეფ მასპუსტის** შემდეგ ის პირველი ჩეხი ფეხბურთელი გახდა, ვინც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს (მასპუსტმა "ოქროს ბურთი" 1962 წელს მიიღო).

ნედვედის უბედურება მომდევნო წელს, ევრო 2004-ის ნახევარფინალში გაგრძელდა, როცა საბერძნეთისა და ჩეხეთის ნაკრებთა თამაშის დროს, მუხლი დაიზიანა და ამ ვითარებამ აიძულა, უარი ეთქვა ეროვნულ გუნდში დარჩენაზე. თუმცა, მალე, ნედვედმა ყველა პრობლემა დაძლია და დაბრუნდა, დაბრუნდა მოედანზეც და ნაკრებშიც. 2005 წელს, ჩეხეთმა ფლეი ოფში ნორვეგია დაამარცხა და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის გარანტია მიიღო. იმ მატჩში, საფინალო სასტვენის შემდეგ, ნედვედი კვლავ დაემხო მუხლებზე, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ სიხარულის გამოსახატავად...

მუნდიალზე მოხვედრის ეიფორია კვლავ იმედგაცრეუბაში გადაიზარდა, როცა **კარელ ბრიუკნერის** გუნდმა ვერ მოახერხა ჯგუფში იტალიის, განისა და აშშ-ს ნაკრებთა წინააღმდეგობის დაძლევა. ნედვედმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ იტალიასთან ბოლო მატჩში საკუთარი გუნდის პრესტიჟი არ შეელახა, მაგრამ "სკუადრა აძურის" მეკარე **ჯანლუიჯი ბუფონი** (მისი თანაკლუბელი) შეუვალი იყო. ინგლისური "ინდეპენდენტი" იუწყებოდა: *"ნედვედი მთელი ჩეხეთის სახელით უტევდა მოწინააღმდეგეთა კარს. მხოლოდ მისგან მოდიოდა საფრთხე. იტალიელები მის ნეიტრალიზებას ლამობდნენ. ამ შეხვედრაში ნედვედმა საკუთარი თამაშის სტილი უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. თუ ეს გამოსათხოვარი მატჩი იყო, მაშინ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნედვედმა ის უმაღლეს დონეზე ჩაატარა".*

გაოგნებული ვარ...

ნედვედი სანაკრებო ფეხბურთიდან 6 კვირის შემდეგ წავიდა, როცა ამხანაგურ მატჩში ჩეხეთმა სერბეთს 3:1 მოუგო. ეროვნულ გუნდში მან 91 მატჩი ითამაშა და 18 გოლი გაიტანა. ამგვარი აღმასვლა და დაცემა ფეხბურთისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ცოტა ფეხბურთელი თუ გაუძლებს სიტუაციას, როცა მთელ ძალ-ღონეს ხარჯავ, გუნდს ლიგის მოგებაში ეხმარები და მერე შენ თვალწინ კლუბს ამ ტიტულებს ართმევენ. "იუვენტუსმა" სკუდეტო 2005 და 2006 წლებში მოიგო, მაგრამ "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ, ბოლო ტიტული "ინტერს" მიაკუთვნეს.

ნედვედი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ "იუვენტუსი" დაისაჯა ასე მკაცრად იტალიურ ფეხბურთში, სხვა კლუბებზე კი თვალი დახუჭეს. ჩეხ ფეხბურთელზე გაორებული შთაბეჭდილება დატოვა იმ თანაგუნდელების გადაწყვეტილებამ, რომლებმაც დარჩენასა და კლუბისთვის დახმარების განევაზე უარი თქვეს. *"პატივს ვცემ იმ ფეხბურთელების არჩევანს, რომლებმაც სხვაგან გადასვლა გადაწყვიტეს. და საკუთარ გადაწყვეტილებაში ყველა თავისუფალია. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს, ვწუხვარ, რომ მას იმ გუნდის მაისურა აცვია, რომელმაც სკუდეტო წაგვართვა",* - აღნიშნა ნედვედმა. **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** "იუვენტუსი" შარშან ზაფხულში დატოვა და ახლადგაჩემპიონებულ "ინტერში" გადაბარგდა.

"იუვენტუსმა" წარმატებით დაასრულა სერია B-ს გრძელი მარათონი. მეორე ადგილზე გასულ გუნდთან დიდი უპირატესობა მოიპოვა და სერია A-ში მაღალი მიზნებისთვის დაბრუნდა. *"სეზონი ძალზე რთული და დამღლელი აღმოჩნდა. გაოგნებული ვარ. სერია B-ში, ფეხბურთის გარდა, სპორტის ყველა სხვა ძალისმიერ სახეობებს თამაშობენ. ძნელი იყო ამგვარ სიტუაციასთან შეგუება. "იუვენტუსმა" ბევრ სირთულეს გაუძლო და სწორედ ამიტომაა ის ევროპაში საუკეთესო კლუბი",* - განაცხადა ნედვედმა.

ოცნება ჩემპიონთა ლიგაზე

სერია A-ში დაბრუნებისა და ახალი სეზონის მოლოდინში ნედვედმა აღნიშნა, რომ პატიოსანი გუნდის სახელის დამტკიცება ძალზე ძნელი იქნება: *"ჩვენგან მეოთხე ადგილისთვის ბრძოლა სერიოზული არ იქნება. ეს არასასურველ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. ჩვენი მიზანია, ტიტულის მოპოვება. ამიტომ, ისე უნდა გავძლიერდეთ, როგორც არასდროს".*

ნედვედის გეგმები, ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ჩეხეთში საფეხბურთო აკადემიის დაარსების თაობაზე, ცოტა ხნით მოიცდის. მისი მიზანია მაღლა აღმართოს "დიდყურა თასი", როგორც ის ჩემპიონთა ლიგის თასს უწოდებს. 2007 წლის მერეც, მსოფლიო კიდევ ერთხელ დაინახავს, როგორი სიმძლავრით მოქმედებს "იუვენტუსის" პატარა "დინამო" და უეჭველია, კიდევ ბევრ სხვა მეტსახელს დაიმსახურებს...

დავით ჩუბინიძე
FIFA magazine-ს მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ული ჰიონესთან

წარმატება უბრალოდ გარდაუვალია

ბაიერნის მენეჯერი სამივე ტურნირის მოგებას გეგმავს...

ული ჰიონესი

დიდი ხანია, "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი ასე ბედნიერი აღარავის უნახავს. როცა მიუნხენური გიგანტი ტიტულს იგებს ხოლმე, ენაჭარტალა ულისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ვერ იგებს - ტრაგედია. სიხარული და უსაზღვრო ბედნიერება კი მას მაშინ ეტყობა, როცა რომელიმე პირად ბრძოლას წარმატებით დაასრულებს - ცხადია, იმ საქმეში, რომელიც უშუალოდ მას ევალება, კერძოდ, ტრანსფერებში. ჰიონესი ბედნიერია იმით, რომ ფანებს დანაპირები შეუსრულა და უმაღლესი კლასის ფეხბურთელები შეიძინა, ჰიონესი ბედნიერია იმით, რომ "ვერდერთან" ომში მოგებული დარჩა - მიროსლავ კლოზე ხომ "ბაიერნის" ფეხბურთელია. შესაბამისად, ახლა უკვე გაცილებით თამამად ამბობს, რომ რეკორდმაისტერის მიზანი მომავალ სეზონში ყველა ტურნირის მოგებაა - ბუნდესლიგა, უეფას თასი, გერმანიის თასი.

- ჰერ ჰიონეს, როგორ მიდის მზადების პროცესი და რა შთაბეჭდილება გრჩებათ ახალ "ბაიერნზე"?

- აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი კონცენტრირებულია, რაც ძალიან მახარებს. აშკარად ვხედავ, რომ ვარჯიში მათ სიამოვნებას ანიჭებს. ახალწვეულებმა გუნდში დადებითი მუხტი შემოიტანეს. ჩვენ გუნდის განახლება გვსურდა და ეს მოვახერხეთ კიდეც. ის, ვინც ვარჯიშებს რეგულარულად ესწრება, პოზიტიურ ასპექტებს აუცილებლად დაინახავდა. ერთი სიტყვით, გუნდის მზადებით ძალიან კმაყოფილი ვარ და მჯერა, რომ სეზონის სტარტს საუკეთესო ფორმაში მყოფები შევხვდებით.

- ოტმარ ჰიტცფელდი ამბობს, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენმა გულშემატკივრებმა მოთმინება უნდა იქონიონ, თავიდანვე სუპერფეხბურთის ჩვენებას ნუ მოგვთხოვთო. მაინც რამდენ ხანს მოუნევთ ქომაგებს ლოდინი?

- "ბაიერნის" ისტორიაში პირველად მოხდა ისე, რომ გუნდმა ერთ ჯერზე ამდენი კარგი ფეხბურთელი იყიდა. ნებისმიერმა, ვინც ფეხბურთში ერკვევა, უნდა იცოდეს, რომ ასეთ დროს მართლაც მოთმინებაა საჭირო. რვა ახალი ფეხბურთელი გვყავს - მათ ერთმანეთში შეთამაშება სჭირდებათ. წარმოუდგენელია ის, რომ სხვადასხვა ეროვნების მოთამაშეებმა ერთ თვეში ერთმანეთს უსიტყვოდ გაუგონ. ისეთ დიდ გუნდში, როგორიც "ბაიერნია", ახალი ფეხბურთელის სრულფასოვანი ინტეგრირება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც დროს მოითხოვს. მხოლოდ გულშემატკივრები კი არა, ჩვენც ვნერვიულობთ, რადგან გვინდა ახლავე ვიცოდეთ, რა და როგორ იქნება, მაგრამ გუნდი ისედაც მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული და ფანებისგან დამატებითი ზეწოლა დიდი შეცდომა იქნებოდა. ამ გუნდისგან ახლა ისედაც ყველა სასწაულებს ელის.

- ცნობილია, რომ პაულ ბრაიტნერი "ბაიერნში" სერიოზულ პოსტს მიიღებს და უამრავი საქმე ექნება. შეგიძლიათ, დაგვიკონკრეტოთ, რა დაევალება ბრაიტნერს?

- გადაწყვეტილი ჯერჯერობით არაფერია და ამიტომაც ვერაფერს დავაკონკრეტებ. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, ეს საკითხი დღის წესრიგში დგას. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბრაიტნერი 2 წლის განმავლობაში ჩვენთან იმუშავებს. ხოლო, თუ რა დაევალება მას კონკრეტულად, ამაზე ჯერ ბოლომდე არ ჩამოვყალიბებულვართ. ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ბრაიტნერი ტრანსფერებზეც იმუშავებს, ფეხბურთელებს და მწვრთნელებს დააკვირდება.

- არის თუ არა ეს ზაფხული თქვენს სამენეჯერო კარიერაში საუკეთესო?

- მენეჯერის კარიერა არა ტრანსფერების სიმრავლითა და ხარისხით, არამედ გუნდის წარმატებებით იზომება. 25 წელინადია, "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ვარ და ამ ხნის განმავლობაში გუნდმა 17 ტიტულის მოგება შეძლო - მათ შორის ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ჩემი სამენეჯერო კარიერა წარმატებულია. ფეხბურთელების ყიდვა ერთია, ამ ფეხბურთელებთან ერთად წარმატების მიღწევა კი მეორე. როცა საფულეს კარგად გახსნი, ფეხბურთელების გადმობირება პრობლემა არ არის. ეს აქამდეც ვიცოდი. ახლა უბრალოდ ძლევამოსილი გუნდი უნდა გამოვძერწოთ.

- ლუკა ტონისა და ფრანკ რიბერის პირველ ბაიერნულ დღეებს როგორ შეფასებას მისცემდით?

- რიბერი ჩვენთან თავს შესანიშნავად გრძნობს, მეტიც, არაჩვეულებრივად. დამიჯერეთ, ჩვენი გუნდის არცერთ ახალწვეულს, თავი თავიდანვე ასე კარგად არასდროს უგრძვნია. მეგობრული და გულღია ადამიანია, რაც დანარჩენებსაც ძალიან მოსწონთ. რაც შეეხება ტონის, ის, რომ ლუკა ძალიან მხიარული ადამიანია და ახალ თანაგუნდელებთან დამეგობრება არ გაუჭირდებოდა, თავიდანვე ვიცოდით. ხოლო რიბერიმ კი ძალიან გაგვაკვირვა. პირდაპირ გეტყვით, არ მეგონა, თუ თავს ყველას ასე მალე შეაყვარებდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რაკი დიდი ფეხბურთელია, როცა გადმოვიდოდა, ოდნავ თავაწეული იქნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

- ლუკას პოდოლსკი და ბასტიან შვაინშტაიგერი სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობენ. მათ ისედაც ძალიან მცირე შანსი აქვთ იმისათვის, რომ მომავალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ითამაშონ. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად მძიმეა პოლდისა და შვაინის მდგომარეობა?

- როცა ფეხბურთელი მოსამზადებელ შეკრებაში სრულფასოვან მონაწილეობას ვერ მიიღებს, ცხადია, რომ სეზონის დაწყებისას მას გარკვეული პრობლემები ექნება. ლუკასმა და ბასტიანმა ძალიან ცუდი ტრავმები მიიღეს, მათ უბრალოდ არ გაუმართლათ. ახლა მხოლოდ მათზეა დამოკიდებული, თუ როდის აღიდგენენ ფორმას. დარწმუნებული გახლავართ, რომ როცა გამოჯანმრთელდებიან, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ. პოლდი და შვაინი თავის შანსს აუცილებლად მიიღებენ. სხვა საქმეა, გამოიყენებენ თუ ვერა.

- "ვერდერის" ბოსმა კლაუს ალოფსმა მიროსლავ კლოზე მაგრად გააკრიტიკა და საერთოდ, ბრემენში კლოზეს შესახებ ძალიან ცუდი ტონით საუბრობენ...

- როცა ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით, ამ საკითხზე შევთანხმდით და შესაბამისად, ძალიან მიკვირს, ახლა ასე რომ საუბრობენ. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ "ვერდერი" ასე არასდროს ამჩატდებოდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა გერმანული გრანდის სახელი დაიმკვიდრა. ახლა კი, "მუსიკოსებმა" თავიანთი სისუსტე გამოაჩინეს და სწორედ ამაზე ეტყობა გუნდს, რომ ჯერ მაინც არ არის გრანდი.

- ვინ არის გერმანიის პირველობის ფავორიტი - მხოლოდ "ბაიერნი" და არავინ "ბაიერნის" გარდა?

- როგორ გეკადრებათ, ფავორიტია მოქმედი ჩემპიონი "შტუტგარტიც", ასევე "შალკე" და "ვერდერი". ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო იქნება "ლევერკუზენიც". არ უნდა დავივიწყოთ "ჰამბურგიც". "ვერცხლის სინისთვის", "ბაიერნთან" ერთად სწორედ ეს ხუთი გუნდი იბრძოლებს.

- უეფას თასზე რას იტყოდით? "ბაიერნისთვის" ეს ხომ საძულველი და სამარცხვინო ტურნირია?

- სხვათა შორის, მე არასდროს მითქვამს, რომ უეფას თასი სამარცხვინო ტურნირია. გადაამოწმეთ ჩემი ყველა ინტერვიუ - ასე არასდროს მითქვამს. როცა ამ ტურნირს გუნდები ჩემპიონთა ლიგიდანაც დაემატებიან, უეფას თასი ძალიან საინტერესო და დრამატული შეჯიბრება გახდება. გასულ სეზონში, "ვერდერი" ნახევარფინალში რომ გავიდა, ბრემენულ კლუბს მთელი გერმანია გულშემატკივრობდა. არასწორია ის, რომ უეფას თასს მხოლოდ მაშინ ვუწოდებთ "დამარცხებულთა ტურნირს", როცა იქ "ბაიერნი" თამაშობს.

- მიზნებზეც ვთქვათ...

- უპირველესი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ადგილზე გასვლა პროგრესი იქნებოდა (იცინის), ვერ ვიტყვი, რომ ამით დავკმაყოფილდები. ხუმრობა იქით იყოს და მე დარწმუნებული ვარ, რომ გაისად ყველა ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლებთ. წარმატება უბრალოდ გარდაუვალია.

- დაბოლოს, ბერნდ შუსტერის "რეალში" დანიშვნაზე რას იტყოდით?

- ჯერ კიდევ ექვსი კვირის წინათ ვიცოდი, რომ ბერნდი "რეალის" დამრიგებლად დაინიშნებოდა. შუსტერი ესპანურ ფეხბურთს ძალიან კარგად იცნობს და მჯერა, რომ მადრიდულ გრანდს წარმატებებს მოუტანს.

გოტფრიდ ლენცი

კრისტიან ვიორნსი და თომას დოლი

დორტმუნდი

კაპიტანი ისევ ვიორნსია

დოლმა ფრაის კვლავ ვეტერანი მცველი ამჯობინა. გაყიდულია 48 ათასი აბონემენტი

დორტმუნდის "ბორუსია" ახალი სეზონისთვის შვეიცარიაში, კერძოდ კი ფოიზისბერგში ემზადება. სიახლე ის გახლავთ, რომ BVB-ს მთავარმა მწვრთნელმა **თომას დოლმა** გუნდის კაპიტნად ისევ ვეტერანი მცველი **კრისტიან ვიორნსი** დანიშნა, 35 წლის უკანახაზელის შემცვლელად კი - საყრდენი ნახევარმცველი **სებასტიან კელი.** - ფეხბურთელი, რომელმაც უმძიმესი ტრავმა გადაიტანა და ერთწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

"კრისტიანი ჩვენი გუნდის სულიერი ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვანი და მრავლისმნახველი ფეხბურთელია, მის თვალებში ცეცხლი დღესაც ყველაზე მეტად იგრძნობა. იშვიათია მოთამაშე, რომელიც 35 წლის ასაკში ასე მონდომებული და მოტივირებულია ხოლმე. კრისტიანი აბსოლუტურად ყველა დავალებას ყველაზე ბეჯითად ასრულებს, ის ყველასათვის მისაბაძი მაგალითია," - განაცხადა დოლმა. ამ გადაწყვეტილებით მან ბოლო მოუღო სპეკულაციებს იმის თაობაზე, რომ თითქოს დორტმუნდული კლუბის ახალ კაპიტნად შვეიცარიელი თავდამსხმელი **ალექსანდერ ფრაი** უნდა დანიშნულიყო (ეს უკანასკნელი შვეიცარიის ნაკრების კაპიტანიც გახლავთ). *"ფრაი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, მაგრამ ის პასუხისმგებლობას კაპიტნის სამკლაურის გარეშეც არ გაექცევა,"* - ამბობს "ბორუსიის" ახალგაზრდა თავკაცი.

მოგეხსენებათ, რომ ფრაი ტრავმირებულია. გასული სეზონის ბოლოს ექიმებმა მას ოთხთვიანი იძულებითი პაუზა გამოუნერეს, მაგრამ დიდი შანსია, რომ ალექსი მოედანს გაცილებით ადრე, მაგალითად, აგვისტოს შუა რიცხვებში დაუბრუნდეს. ფაქტი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელი, რომელმაც გასულ სეზონში 16 გოლი გაიტანა, 5 საგოლე გადაცემა მიითვალა და ამ მაჩვენებლით გუნდის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა, BVB-ს ძალიან სჭირდება. დოლი: *"ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით, როდის დაბრუნდება ფრაი. რაც მალე, მით უკეთესი!"*

ამასობაში, გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** დაადასტურა, რომ ამ დროისათვის უკვე 48 ათასი აბონემენტია გაყიდული, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ "დორტმუნდისადმი" ინტერესი კვლავინდებურად უდიდესია. კლუბის ბოსებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ "ვესტფალენშტადიონი" აბსოლუტურად ყველა მატჩის დროს კვლავ პირთამდე სავსე იქნება. ამავდროულად, "ბორუსიის" ოფიციალური სპონსორი, კომპანია RAG მეტად სასიამოვნო აქციას ატარებს - ყველა გულშემატკივარი, ვინც წლიური აბონემენტი შეიძინა, უფასოდ მიიღებს გუნდის ახალ ოფიციალურ ფორმას, რომლის ფასიც 70 ევროა.

დაბოლოს, "ბორუსიამ" სამშაბათს ობი-ს თასზე იასპარეზა და შვეიცარიულ "იანგ ბოიზთან" თერთმეტმეტრიანების სერიაში 1:3 დამარცხდა (ძირითადი დრო 0:0 დასრულდა). აღსანიშნავია, რომ BVB-ს ახალმა ფორვარდმა **დიეგო კლიმოვიჩმა,** რომელიც ვესტფალიელებმა "ვოლფსბურგიდან" გადაიბირეს, ძალიან ბევრი საგოლე მომენტი გაანიავა. ეს ნამდვილად არ იყო არგენტინელის დღე, რადგან მან პენალტის გატანაც ვერ მოახერხა. მის გარდა თერთმეტმეტრიანების გატანა ვერც **დედემ** და "კარლსრუედან" ნაყიდმა **ჯოვანი ფედერიკომ** მოახერხეს. ერთადერთი პენალტი **დელრონ ბაკლიმ** შეაგდო - ფეხბურთელმა, რომელსაც ბოსები განათხოვრებას ან გაყიდვას უპირებდნენ.

გოტფრიდ ლენცი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბღი

საქართველოს თასი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეორე ეტაპის დასაწყისი

ხარები-ლელო 22:46

ხარები: (15-9) შუბითიძე, თვაური, დევიძე, თევზაძე (ლამბაშიძე 36), სამსონიძე, ლობჟანიძე, ზირაქაშვილი; (1-8) მაჭარაშვილი, კაკაბაძე, ბალახაშვილი (კობახიძე 25), ყოჩიაშვილი, ბასილაშვილი, კაპანაძე, ავალიშვილი, ქარუხნიშვილი - *3ლ (კაკაბაძე, ლობჟანიძე, მაჭარაშვილი) 2გ,ს: ლობჟანიძე*

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ქიზიყურაშვილი, მანჯავიძე, ცერცვაძე სბ, ხმალაძე (ფურცელაძე 65), თოფურია (ჯოგლიძე 56); (1-8) ჯამრულიძე (ჭანკვეტაძე 68), ბელქანია, სხილაძე (ცხაკაია 41), ჩიტიძე, დაუშვილი, მძინარიშვილი, სარდანაშვილი (კობეშავიძე 46), ახალაია - *8ლ (სარდანაშვილი, ხმალაძე, ცერცვაძე, მანჯავიძე, ზაალიშვილი 2, ყიასაშვილი, საჯარიმო), 3გ (ყიასაშვილი)*

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

საქართველოს თასის მეორე ეტაპზე გასული ექვსი გუნდი ასე დანყვილდა: ხარები-ელო, ლოკომოტივი-დინამო, უნივერსიტეტი-ყოჩები. ეს გუნდები ორი მაჭრის ჯამში იმ სამეულს გამოავლენენ, რომლებსაც თასის ნახევარფინალში პირდაპირ გავლენ. გასარკვევი მხოლოდ ის იქნება, ვინ ვის დაუპირისპირდება. ეს ცნობილი მესამე ეტაპის შემდეგ გაირკვევა. ამ ნყვილებში გამარჯვებულები ცალკე ჯგუფს შექმნიან და ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან. მეორე და მესამე ადგილზე გასულები ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, პირველ ადგილზე გასულის მეტოქე კი ნაგებულებს შორის ცალკე გამართული ჯგუფური ტურნირის გამარჯვებული იქნება.

მეორე ეტაპის პირველი შეხვედრა მიხეილ მესხის სტადიონის სათადარიგო მოედანზე "ლელოსა" და რუსთავის "ხარეს" სორის გაიმართა. თამაში უმალლესლიგელების ლელოელთა უპირატესობით წარიმართა - 46:22.

ბესიკ ჯანგავაძე

დღეს

18.30 უნივერსიტეტი-ყოჩები ვაკე

ჭიდაობა

კარტოზიას და გალავაძის ტურნირები

დიდი სტუმრიანობა ქარიშხალაში

ამ უძმეებზე თბილისი ისევ უმასპინძლებს ანტიკურ ჭიდაობაში გივი კარტოზიას ხსოვნის, თავისუფალში კი ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირებს. ამჯერად „ქარიშხალას" დარბაზში, ვინაიდან სპორტის სასახლეში რემონტია. შეჯიბრზე 13 გუნდი გვესტუმრება - აშშ, ესტონეთი, ისრაელი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა, რუსეთი, ინდოეთი, უზბეკეთი, საბერძნეთი და თურქეთი. თუმცა მათი უმეტესობა ერთ-ერთ ტურნირში გამოვა, ორივე სტილის ჭიდაობაში კი მხოლოდ სამი ნაკრები იასპარეზებს - საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის. უშუალო მეზობლები ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდებით გვესტუმრნენ - სომეხ „ანტიკოსთა" ნაკრები 14 -კაციანია, „თავისუფლებისა" - 18-იანი. აზერბაიჯანელებისა, შესაბამისად, 12 და 18-იანი.

სტუმართა უმეტესობა არასრული გუნდებით გვენვევა. რამდენიმე - სულაც თითო-ოროლა კაცით. „ანტიკოსთა" ტურნირში აშშ-ს 5 მონაწილე ეყოლება, იაპონიას - 4, ისრაელს - 2, ესტონეთს - 5, უზბეკეთს - 2 და ესენიც აქედან ნასული ქართველები, ოლონდ ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე დოხტურიშვილი (84) არ იჭიდავებს.

„თავისუფლებში" ჩინელთა 19 სპორტსმენი გამოვა, უკრაინიდან, რუსეთიდან და საბერძნეთიდან - 4- 4, ინდოეთიდან - 1, თურქეთიდან კი 11 კაცი გვენვევა. ჯერჯერობით თბილისში მხოლოდ იაპონელები, სომხები და ჩინელები ჩამოვიდნენ. შესაბამისად, დაზუსტებით მათ შემადგენლობებზე შეიძლება ლაპარაკი. აი, სხვა გუნდებში კი იქნებ ეს ციფრები კიდეც შეიცვალოს. ცნობილია ისიც, რომ თურქები უძლიერესი ნაკრებით აპირებენ ჩამოსვლას, სხვებს კი უფრო ახალგაზრდების გამოცდა სურთ.

ვინაიდან ეს ტურნირი მსოფლიო პირველობისთვის შესარჩევი შეჯიბრებაა, საქართველოს „თავისუფალთა" ნაკრები ტურნირში უძლიერესი შემადგენლობით გამოვა. იჭიდავებს გუნდის ყველა ლიდერი - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ოთარ თუშიშვილი** (66) და მსოფლიო ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** (84), რომლებმაც მსოფლიოსთვის უკეთ მოსამზადებლად ევროპის პირველობაც გამოტოვეს; მსოფლიო ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძე** (96) და ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი ფალავანი, ევროპის 5-ზის, მსოფლიოს 2-ზის ჩემპიონი და ორგზის ოლიმპიური პრიზიორი **ლუკა კურტანიძე** (96), რომელიც ამ ტურნირის შემდეგ ოფიციალურად ნავა სპორტიდან.

აი, „ანტიკოსთა" შემადგენლობა კი ჯერ ბოლომდე არ გარკვეულა, შესაძლოა, მას ორი ლიდერი დააკლდეს - ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) და ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რამაზ ნოზაძე** (96). ორივეს მცირე ტრავმა აწუხებს და რაკი წინ ბევრად მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ, სავარაუდოდ, მწვრთნელები არ გარისკავენ და არცაა გასარისკი.

თუმცა ეს ტურნირი მსოფლიოსთვის შესარჩევი არა მხოლოდ უფროსებისთვის, არამედ ახალგაზრდებისთვისაცაა. უფროსების მსოფლიო ჩემპიონატი 17-22 სექტემბერს, ბაქოში ჩატარდება, ახალგაზრდებისა - ერთ თვეში მომავალი ოლიმპიადის მასპინძელ პეკინში. არადა, ახალგაზრდებმა ორიოდ კვირის წინათ ევროპის პირველობაზეც იჭიდავეს, ასე მალე მსოფლიო მოედან, შუალედში კი ამ ტურნირშიც უნდა გამოვიდნენ. რატომღაც მათი კალენდარი მუდამ ასე უგერგილოდაა გათვლილი, რის გამოც ევროპა-მსოფლიოზე ჭიდაობა დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში უწევთ. ბუნებრივია, კარტოზია-ბალავაძის ტურნირის გამოტოვება შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ევროპაზე მთლად წარმატებით ვერ იჭიდავეს და მნვრთნელები უმეტეს წონებში ახალ კადრებს ეძებენ.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ შაბათს ანტიკური ჭიდაობის ტურნირი გაიმართება, კვირას - თავისუფალი სტილისა.

ირაკლი თავაძე

ჯალათბურთი

ტყუპები

ლას ვეგასის საზაფხულო კემპის მეოთხე დღეს ორივე ქართველმა ითამაშა: **ნიკა ცქიტიშვილმა** "დენვერს" "დალასთან" ვერ უშველა (83:87), ხოლო **ვიქტორ სანიკიძემ** "სან ანტონიოს" "გოლდენ სტეიტთან" მოაგებინა - 90:80. ნიკას და ვიქტორის თამაშის შემყურე ტყუპებსაც შეშურდებოდათ: მატჩი ორივემ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 6 ქულა ჩააგდო და 5 მოხსნა მიითვალა. სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ცქიტიშვილმა მოედანზე 17 წუთი გაატარა, სანიკიძემ - 13.

ზურაბ ხომასურიძე და გია გალდავა

2005 წელს, სექტემბერში, ცნობილმა მოცურავემ, ათენის ოლიმპიადის მონაწილე **ზურაბ ხომასურიძემ** ბათუმიდან ფოთამდე შეუსვენებლად გაცურა 60 კმ. ამჟამად ზურაბი ახალი, უფრო რთული გამოცდისთვის ემზადება - გადაწყვეტილი აქვს ორჯერ უფრო გრძელი დისტანცია გაცუროს ასევე შეუსვენებლივ ბათუმიდან თურქეთის შესაბამისი მანძილის პუნქტამდე, ტრაბზონის რეგიონში.

ზ. ხომასურიძემ, გუშინ, ორგანიზაციული საკითხები შეათანხმა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან **გია გალდავასთან**. სურათზეც სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

ცურვა

ხომასურიძე ახალი მარათონისთვის ემზადება

სუმო

მოგებას წაგება ცვლის

გუშინ **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) ნაგოიას ბაშოზე მეორე მარცხი განიცადა, მან ვერაფერი მოუხერხა 21 წლის ტექნიკურ მონღოლ რიკიშის **კაკურიუს**, რომელმაც ჯერ თავიდან დაიცვა, მერე კოკაის მავაში ხელთ იგდო და ლამაზი გდებაც (ბიტატედაშინაგე) ჩაატარა. კოკაის ბალანსი ნულოვანია - 2-2, დღეს მისი მეტოქე მეთერთმეტე მაეგაშირა **ტოკიცუუმია**, რომელსაც ბაშოზე ჯერ მხოლოდ ერთი მოგება აქვს. ტოკიცუუმის კოკაი ურთიერთშეხვედრებში 3:2-ს უგებს.

გუშინ ყველაზე მეტ ინტერესს ოსი **როპოსა** და იოკოძუნა **ასაშორიუს** მატჩი ინვევდა, თუმცა როპო მეტოქეს ნელის ტკვილის გამო ვერ გამოუცხადდა. ბაშოზე მხოლოდ ორი რიკიში დარჩა დაუმარცხებელი მონღოლი იოკოძუნა **ჰაკუპო** და ადგილობრივთა კერპი სეკიკაკე **კოტომიცუკი**.

მესამე დივიზიონში კვლავ გვახარებენ ქართველი ფალავნები, 19 წლის **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) მომქანცველი ორთაბრძოლა მოუგო **სადანოფუჯის**, რომელიც საბოლოოდ დოჰიოდან იორიკირით განდევნა. ტოჩინოშინს, ისევე როგორც **გაგამარუს** (თეიმურაზ ჯუღელი) 2-0 ბალანსი აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაგოიას ბაშო

ივლისის სუპერტურნირი

8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

IV დღე მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კაკურიუ 0:1 (ბიტატედაშინაგე), ჰაკუპო-ტაკეკაძე 1:0, ასაშორიუ-როპო 1:0, კაიო-ვაკანოსატო 1:0, ტოკიტენკუ-ჩიოტაიკაი 1:0, კოტოოშუ-ტაკამისაკარი 1:0, ამა-ტოიონოშიმა 1:0, კოტომიცუკი-ამინიშიკი 1:0, ასასეკირიუ-კოტოშოგიკუ 1:0, დეჯიმა-ტამანოშიმა 1:0, კისენოსატო-მიაბიამა 1:0, ჰომაშო-ფუტენო 1:0, ტოჩიოძანი-რიუო 1:0, ჰოკუტორიკი-კასუგაო 1:0.

სუპერნოკაუტი: 4:0. ჰაკუპო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკიკაკე); 3-1: 12 რიკიში, მათ შორის ასაშორიუ (იოკოძუნა), კაიო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი). - 2-2. კოკაი (მაეგაშირა 9)

V დღე: კოკაი-ტოკიცუუმი, ასაშორიუ-ტაკეკაძე, ჰაკუპო-ასასეკირიუ, ჩიოტაიკაი-ვაკანოსატო, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, კაიო-ამა, კოტომიცუკი-ტოკიტენკუ, ამინიშიკი-დეჯიმა, ტაკამისაკარი-კოტოშოგიკუ, მიაბიამა-ფუტენო, ტოჩიოძანი-ტამანოშიმა, ჰომაშო-კაკურიუ.

ჭრიჟი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ორნი დარჩნენ

სერბეთის ქალაქ სომბორში გრძელდება ევროპის მოკრივეთა ახალგაზრდული ჩემპიონატი. სამწუხაროდ, გუშინ, საქართველოს ნაკრების ექვსი მოკრივიდან, კიდევ ერთი გამოაკლდა ევროპის ჩემპიონატს. ასე რომ, მხოლოდ ორი სპორტსმენის ამარაღა დავრჩით.

გუშინ, პირველი ეტაპის ორთაბრძოლები გამართეს **გიორგი დოლენჯაშვილმა** (75 კგ) და **დავით გოგიშვილმა** (81 კგ). დოლენჯაშვილი პოლონელ **დაბრონსკისთან** დამარცხდა - 4:16, გოგიშვილმა კი რუმინელი **ბოდილკუ** ნაანადგურა - 30:4.

როგორც იცით, დოლენჯაშვილის გარდა, ტურნირს ასევე პირველსავე ორთაბრძოლებში გამოეთიშნენ **კახა ლაზარაშვილი** (54), **ამირან ჯანჯღავა** (60) და **გაგა ელიაშვილი** (69). არადა, ევროპის ჩემპიონატამდე ნაჩვენები შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ისინი მედლების რეალური კანდიდატები იყვნენ. შეჯიბრებას აგრძელებს **გიორგი ხუტაშვილი** (64), რომელსაც ზემოთ ნახსენები სამეულისაგან განსხვავებით, არც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამოუჩენია თავი და საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზეც მხოლოდ მეორე იყო. თუმცა მწვრთნელებმა მაინც მასზე შეაჩერეს არჩევანი და გიორგიც, ჯერჯერობით, ამართლებს მათ იმედებს.

როგორც სომბორში მყოფმა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალაცმა** გვაცნობა, ლაზარაშვილი უნგრელ გერგოსთან ორთაბრძოლაში აშკარად დაუჩაგრიათ არბიტრებს და მინიმალური სხვაობით წაუგებინებიათ, სხვა მოკრივეებს კი საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ და ალალად დამარცხებულან.

მოკლედ, ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ვუქომაგოთ გიორგი ხუტაშვილს და დავით გოგიშვილს. ორივეს თითო ბრძოლა აქვს მოგებული. ხუტაშვილი დღეს, მერვედფინალში ხვდება ბულგარელ ბორისოვს, გოგიშვილი კი ხვალ იჩხუბებს მეოთხედფინალში და თუკი მოიგებს, მინიმუმ, ბრინჯაოს მედალს გაინალდებს.

ჩოგბურთი

წაგება ფრანგულ სენსაციასთან

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** ბიელას ტურნირის (100 ათასი დოლარი) მერვედფინალში დამარცხდა, თუმცა ამავე ტურნირის ნყვილთა თანრიგში მეოთხედფინალშია. ერთეულებში მაკას სავარაუდო მეტოქედ ტურნირის პირველ ჩოგანს გერმანელ **მარტინა მიულერს** მივიჩნევდით, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 34-ე ადგილზეა, თუმცა სამშაბათს გვიან საღამოს ფრანგმა **ალიზ კორნემ** (122) სენსაცია მოახდინა და ფავორიტი სამ სეტში დაამარცხა. ასე რომ, გუშინ ბიელას ცენტრალურ კორტზე მაკა ჩახნაშვილი 17 წლის ფრანგულ სენსაციას დაუპირისპირდა. ნლევანდელი ახალგაზრდული "როლან გაროსის" მოგების შემდეგ კორნე ახალგაზრდულ ასპარეზზე აღარ გამოჩენილა, მიუხედავად ამისა ჯერაც მსოფლიოს მერვე ჩოგანია 18-ნლამდელთა შორის. მოკლედ, საქმე მომავლის ვარსკვლავთან გვაქვს. პირველ სეტში 1:1-ზე ფრანგმა ქართველის მონოდება მოიგო, მაგრამ მაკამ იქვე დაიბრუნა ნაგებული მონოდება, ამის შემდეგ კორნემ იმძლავრა - 2:6. მეორე სეტი კორნემ თავიდანვე ძლიერად დაიწყო, მეტოქეს მონოდება კვლავ აართვა, თუმცა შემდეგ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, რამდენიმე რეალური შანსის განაიავების შემდეგ ჩახნაშვილმა მაინც შეძლო სეტის მოგება - 7:5, მესამე სეტი კი კორნემ ჩახნაშვილს პირწმინდად მოუგო - 2:6, 7:5, 1:6. ნყვილთა თანრიგში მაკა რუს **ეკატერინა მაკაროვასთან** ერთად ასპარეზობს, მათ იოლად მოუგეს "უაილდ ქარდით" მიწვეულებს, არგენტინელ **ნატალია გუსონის** და იტალიელ **სილვია დიზდერის** - 6:2, 6:0. მეოთხედფინალში ჩახნაშვილს და მაკაროვას პარაგვაელი **როზანა დე ლოს რიოსი** (144) და რუმინელი **ედინა გალოვიცი** (72) ელით.

დევიძემ მოიგო

ბოსტონის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) ფინალურ საკვალიფიკაციო ბადეში ორი ქართველი ჩოგბურთელი დაუპირისპირდა ერთმანეთს. 21 წლის **სალომე დევიძე** ახლა მსოფლიოს 645-ე ჩოგანია, არადა სამი წლის წინათ ის მსოფლიო კლასიფიკაციაში 254-ე იყო. **სოფიო მელიქიშვილი** 20 წლისაა და კლასიფიკაციაში 667-ეა. ერთი წლის წინათ მელიქიშვილი 259-ე ჩოგანი იყო. ქართველთა მატჩი დაძაბული არ გამოდგა - დევიძემ ორ სეტში იმარჯვა - 6:0, 6:4 და ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა. ძირითად ბადეში სალომე დევიძის მეტოქე ამერიკელი **ერიკა რობერტსონია**, ტურნირზე "უაილდ ქარდით" მიწვეული. ძირითადი ბადის პირველი წრე უკვე გადალახა საქართველოს მეორე ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (385), რომელმაც ამერიკელი **მერი გემბეილი** (389) სამ სეტში დაამარცხა - 6:4, 1:6, 7:6 (3).

წარუმატებელი დებრუნება

გერმანიის ახალგაზრდულ ღია პირველობაზე, რომელიც პირველი კატეგორიის ტურნირია, ძალზე ცუდად იასპარეზა 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა**. ქართველი ჩოგბურთელი მე-11 ნომრად იყო განთესილი, თუმცა ის მოულოდნელად გერმანელ **რალფ რეგუსთან** დამარცხდა - 2:6, 0:6. ლაზარე თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ დებრუნდა კორტებზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

სპორტის აკადემიის ირბვლივ

მიმართვა

"ლელოს" გუშინდელ ნომერში ვწერდით, ი. ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტთან სპორტის აკადემიის ფაკულტეტად შეერთების მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით მიმართვა გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, კათოლიკოს პატრიარქს, პარლამენტს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს. დღეს გთავაზობთ ჩვენი ქვეყნის ვეტერანი სახელოვანი სპორტსმენების მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ მიმართვას.

საქართველოს პრეზიდენტს,
გატონ მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ერთ-ერთი ცნობილი, უძლიერესი და სახელმოხვეჭილი უმაღლესი სასწავლებელია. ის მალე დაარსებიდან 70 წლის იუბილეს იზეიმებს, მაგრამ... და ყველაზე მეტად დღეს ეს "მაგრამ" გვაწუხებს. როგორც ცნობილი გახდა, სპორტის აკადემია ერთ ფაკულტეტად უნდა გადაკეთდეს და სხვა უმაღლეს სასწავლებელს შეუერთდეს.

ქართული სპორტი, ქართული ფიზიკური ძლიერება, ქართული ფენომენი, იდუმალებით სავსე სამყარო ცივილიზებულ კაცობრიობას დასაბამიდანვე აოცებდა და იზიდავდა. რამდენი სპორტული ილეთი, რამდენი სპორტული სახეობა ხდებოდა მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს შთაგონების წყარო! აბა რამ შექმნა მითი ამირანის შესახებ? ამირანმა კი პრომეთეს სახე შექმნა.

ათასწლეულები იცავდა ქვეყანას ქართული ჯანსაღი სული, ქართული ჯანსაღი სხეული, ფიზიკური ძლიერება და შეურყვნელი ეროვნული სიამაყე.

და დღესაც ჩვენი სპორტსმენები, ჩვენი ქვეყნის ძლიერების მითებს, ლეგენდებს ქმნიან! ყოველი მათი მოგება, გამარჯვება ლამაზად დაწერილი ლექსი, მოთხრობა თუ პოემაა, რომლებიც საუკუნეებს გაუძლებენ, გახალხურდებიან და საქართველოს ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებენ.

თვალი გადავავლოთ ოლიმპიურ თამაშებს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებს! გადავთვალოთ, ამ პატარა ქვეყანას რამდენი ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონები ჰყავს! - ბევრი, ძალიან ბევრი! რამდენი ლეგენდარული სპორტსმენი შეგვიძლია ჩამოვთვალოთ? - ურიცხვი, უამრავი! მარტო ის რად ღირს, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში თხუთმეტ კურსდამთავრებულს 18 ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული აქვს, 300-მდე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ეს ის მაჩვენებელია, რაც რამდენიმე წამყვან ქვეყანას ერთად აღებულს სანატრელი ექნებოდა.

განსაკუთრებით გვინდა გავიხსენოთ სიდნეის - 2000 წლის და ათენის 2004 წლის - ოლიმპიური თამაშები. გავიხსენოთ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გამოსული ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენები.

რა სილამაზე, სიამაყე, აღფრთოვანება იყო, როდესაც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტმა, თავისი გარეგნობითაც მომხიბლავმა და სახენათელმა, ჩვეული მტკიცე ნაბიჯებით შემოაბიჯა და 2004 წლის ოლიმპიელებთან ერთად ზეიმი გახსნა. ეს იყო ახლახან, 2004 წელს... და ოთხივე - გამარჯვებულები და პიზიორები საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აღზრდილი იყო.

სპორტი უძლიერესი ძალაა და ამ ქართულ უძლიერეს ძალას ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი ემსახურება, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში არსებობის დღიდან სწავლობდნენ და სწავლობენ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები. ისინი ქვეყნისა და აკადემიის ღვიძლი შვილები არიან! ამ აკადემიაში აღიზარდნენ და იზრდებიან ლეგენდარული სპორტსმენები, რომლებითაც თქვენც და ჩვენც ვამაყობთ.

თავს არ შეგაწყენთ იმ უდიდესი მეცნიერული მონაპოვრით, რომელიც ამ აკადემიას გააჩნია. ეს ისედაც საყოველთაოდ ცნობილია!

დღეს, როდესაც კაცობრიობას საშინელი სენი, ნარკომანია წალეკვით ემუქრება, ამ უბედურების თავიდან აცილებისა და განკურნების ერთ-ერთი გზა ფიზიკური წრთობაა. როგორც ცნობილია, ახალგაზრდობაში იმძლავრა აგრესიულობამ. სპორტი კი აგრესიის დაძლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ერის დიდების კვარცხლბეკზე დასადგომად მზად არიან, ისინი ერის გამარჯვებისთვის იბრძვიან. მიმართვის ტექსტის სახეებო და სახელებო, თუ ქვეყანას დასჭირდა, ჩვენი ახალგაზრდები ახალი დიდგორისთვისაც მზად არიან!

ჩვენი თხოვნაა, დავფიქრდეთ, ნუ ავჩქარდებით, შევხვდეთ ერთმანეთს, ვისაუბროთ. ჩვენ გვწამს და გვჯერა თქვენი. ვიცით უმაღლესი სასწავლებლის ერთ ფაკულტეტად გადაკეთება და სხვა უმაღლეს სასწავლებელთან შეერთება წარმოუდგენელია, შეუძლებელია. ასეთი რამ მსოფლიოში არ არის! ყველგან, სადაც ამ პროფილის უმაღლესი სასწავლებელი არსებობს, იგი დამოუკიდებელია!

გვწამს, რომ ეს არ მოხდება, რადგან თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ რა როლი მიუძღვის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას ქართველი ერის წინაშე.

თქვენი მხარდაჭერის იმედით, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულები:

ლევან თედიაშვილი - ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი

ლერი ხაბელოვი - ოლიმპიური ჩემპიონი

როგერტ შავლაყაძე - ოლიმპიური ჩემპიონი

მედეა ჯუღელი - ოლიმპიური ჩემპიონი

ნინო სალუქვაძე - ოლიმპიური ჩემპიონი

გიორგი ასანიძე - ოლიმპიური ჩემპიონი

ზურაბ ზვიადური - ოლიმპიური ჩემპიონი

ვახტანგ გალავაძე - მსოფლიოს ჩემპიონი

გიორგი სხირტლაძე - მსოფლიოს ჩემპიონი

ჯემალ ნათელაშვილი - ევროპის ჩემპიონი

თეჩილი

შალვა ჩიხლაძე. დაიბადა 12.07.1912, ქუთაისი - 14.01.1997, თბილისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (87 კგ). 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1936, 46, 49, 50), ოთხგზის მეორე (1935, 44, 47, 51) და ორგზის მესამე (1937, 41) პრიზიორი, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში (1946, 47). 1946-53 წლებში გამოდიოდა მოსკოვის სახელით. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ედიშერ მაჩაიძე. დაიბადა 12.07.1956, თბილისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1973, 76). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ფილას წევრი, ექსტრა კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი. 1994 წლიდან მსაჯობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. იყო 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მსაჯი. საქართველოს სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი, ჭიდაობის სამმართველოს უფროსი (1980-82), ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორი (1984-88), ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის დირექტორი (1988-99), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2004-იდან).

გია თორთლაძე. დაიბადა 12.07.1960, თბილისი. ალპინიზმი. 150-მდე ასვლის მონაწილე კავკასიონზე, პამირსა და ტიან-შანზე. მინიჭებული აქვს "თოვლის ჯიქის" წოდება (1991). პირველი ქართველი ალპინისტი, რომელმაც დაიპყრო ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალები მაკ კინლი და აკონკაგუა, აგრეთვე აფრიკის უმაღლესი მწვერვალი კილიმანჯარო. მერაბ ნემსიწვერიძესთან ერთად ჟანგბადის बალონის გარეშე ავიდა შიშა პანგმაზე (1992). მისი ხელმძღვანელობით პირველმა ქართულმა ექსპედიციამ დალაშქრა დჰაულაგირი (1995). 1999 წლის 26 მაისს გია თორთლაძემ, მერაბ ხაბაზმა, მამუკა ციხისელმა, მერაბ ნემსიწვერიძემ და ირაკლი უგულავამ ქართველთაგან პირველებმა დალაშქრეს ევერესტი. 2001 წელს ინტერნაციონალურ ჯგუფთან ერთად ევერესტი მეორედ დაიპყრო. ზამთრის პერიოდში შესრულებული აქვს მეხუთე კატეგორიის 7 ასვლა. 1996 წლიდან საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის, ხოლო 2001 წლიდან მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტია. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების, ასევე ნეპალის სამეფო ორდენის კავალერი.

ჭადრაკი

უბილავა-ჯობავა, თაობათა ბრძოლა

ესპანურ ბანასკეში გუშინ მეექვსე ტურის პარტიები გათამამდა. ტურნირში ხუთი ქართველი მონაწილეობს, თუმცა **ელიზბარ უბილავა** ამჯერად ესპანეთს წარმოადგენს. სასიამოვნოა, რომ საჭადრაკო საზომებით ჭარმაგი ქართველი ახალგაზრდულად გამოიყურება და ბევრად უმცროს მეტოქეებს არაფერს უთმობს - 6-დან 5.5 ქულა ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის. უბილავამ მეხუთე ტურში თეთრებით გერმანელი **მათიას როედესი** დაამარცხა და ახლა მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფს.

უბილავა მეშვიდე ტურში შავებით ახალგაზრდა თანამემამულეს და უნიჭიერეს ქართველს, **ბაადურ ჯობავას** (5.5) ხვდება. ეს მართლაც ორი თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთა დაპირისპირება იქნება და ინტერესიც ჩვენთვის უდიდესი ექნება. ბაადური ბანასკეს ფესტივალის ყველაზე მაღალრეიტინგიანი და უპირველესი ფავორიტია, ამიტომ ყაიმიც მისთვის გვარიანი უკან დახევა იქნება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯობავა შეუტევს, თანაც თეთრებით თამაშობს. უბილავა ცნობილი თეორეტიკოსია და დღემდე ეხმარება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს. ამიტომ შესაძლოა დებიუტში სირთულეები შეუქმნას შეტევის მოყვარულ ახალგაზრდა დიდოსტატს.

ერთი სიტყვით, ეს დაპირისპირება ყველაზე საინტერესოდ მიგვაჩნია, თუმცა არანაკლებია პირველ დაფაზე გასამართი ბრძოლა, სადაც კიდევ ერთი ქართველი, ტურნირის მეორე ნომერი **ლევან ფანცულაია** (5.5) შავებით ერთპიროვნულ ლიდერს **არკადი როდშტაინს** ხვდება. როდშტაინი რეიტინგით 21-ეა და მისი უპირობო ლიდერობა გვარიანი მოულოდნელობაა - ექვსიდან 6 ქულა აქვს.

5.5 ქულის დაგროვების შანსი ჰქონდა **თამაზ გელაშვილსაც**, მაგრამ შავებით **რაშად ბაბაევის** დამარცხება ვერ შეძლო. ბაბაევი სულაც არ გახლავთ ხელწამოსაკრავი - ბაადურ ჯობავამ სწორედ მასთან დაკარგა ნახევარი ქულა და თანაც - თეთრებით. თამაზი გამარჯვებას დღეს ეცდება - თეთრებით შეუტევს ინდოელ **რ. ბ. რამეშს**.

გუშინდელი დღე რომ იღბლიანი იყო ქართველთათვის, **ლევან არაშიძის** გამარჯვებამაც კარგად გამოაჩინა - ლევანმა თეთრებით მასპინძელი **ლუის ფუენტესი** დაამარცხა და გელაშვილის დარად 5 ქულა აქვს, რაც მეშვიდე - 22-ე ადგილების გასაყოფად არის საკმარისი. არაშიძე მეშვიდე ტურში შავებით ესპანელ საერთაშორისო ოსტატ **ივან ლოპეს სალგადოს** ხვდება.

ზვიად შათირიშვილი

ნანა ალექსანდრიას ფესტივალი

ფოთში ეკვატორი გადალახეს

ნანა ალექსანდრიას სახელობის მეორე საერთაშორისო ფესტივალმა, რომელიც ფოთში იმართება, ეკვატორი გადალახა, - შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩასატარებელ ტურნირზე ხუთი ტურია უკან მოტოვებული.

დაკვირვებული მკითხველი კარგად შეამჩნევდა, რომ აღნიშნული ტურნირის წარდგენის შემდეგ ჩვენს გაზეთში მიმდინარეობის შესახებ აქამდე არაფერი დაგვიწერია. ამაში კი ბრალი ჩვენ არ მიგვიძღვის, - არც ორგანიზატორების დადანაშაულება გვსურს: მალთაყვის სპორტული კომპლექსის (სადაც ტურნირი ტარდება) დარბაზთან მიმავალი საინტერნეტო კაბელი ვიღაცას ამოუთხრია და ქსელი გაუძარცვავს; ცხადია, ინფორმაციის კომპიუტერში შეყვანა და საიტზე განთავსება შეუძლებელი გახდა. ბოლოს და ბოლოს, პრობლემას მოევლო და ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ფესტივალში 6 ქვეყნის - რუსეთის, ირანის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 308 მოჭადრაკემ მოიყარა თავი. მონაწილეთა ასაკი შეზღუდულია და ოთხ ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს: 8, 10, 12 და 16 წლამდე; 14 წლამდელთა შორის, როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში საუკეთესო შედეგის მქონესათვის ერთი სპეციალური პრიზია დანესებული.

ტექნიკური შედეგებით რომ არ გადაგღალოთ, ყველა ასაკში პირველ სამ დაფაზე მსხდომთა შესახებ მოგითხრობთ; უფრო სწორად, მეექვსე ტურის სამ-სამ წყვილს გაგაცნობთ.

გოგონები. 8-წლამდელები: ნინო ჯალაღონია (4)-თამარ პაპკურიძე (3.5); ელა სვანიძე (3)-მარი ჩალაძე (3); თინათინ ლაღაძე (3)-ქეთი ცერაძე; **10-წლამდელები:** მარიამ მჟავია (4)-მარი ჭოლაძე (4); ადა ქაქუთია (3)-თამთა ხურცილავა (2.5); ქეთევან ხომერიკი (2.5)-ნინო ხომერიკი (3); **12-წლამდელები:** მარიამ სამურკასოვი (4)-ანა შამათავა (3.5); დეა გოგიშვილი (3.5)-ნანი უნაფქოშვილი (3); თეკლა მაჭარაშვილი (3)-სვეტლანა მირზაბეკიანი (სომხ. 3); **16-წლამდელები:** სალომე სირაძე (3)-მერი არაბიძე (3.5); თეკლა ფარჯიანი (3)-ნათია ჯალაბაძე (3); ქეთი ნანალაშვილი (3)-თინათინ ბერიძე (2.5).

ვაჟები. 8-წლამდელები: ავთო ფანჩულიძე (3.5)-ალეკო პანასენკო (3.5); გუგა სანაძე (3.5)-ლუკა ლიჩელი (3.5); სანდრო ურდულაშვილი (3)-რატი პერტაია (3.5); **10-წლამდელები:** გოგი სულუხია (4)-არსენ აგაჯანიანი (სომხ. 4); ელგარან არუთუნიანი (სომხ. 4)-ნიკა ბერძენაძე (4); გოგი კეკელიძე (3.5)-არუთუნ ბარსეგინი (სომხ. 3); **12-წლამდელები:** ტიგრან არუთუნიანი (სომხ. 4)-გოგი დანგაძე (4); ირაკლი ბერაძე (3.5)-მამუკა ანთაძე (3.5); ლაშა უბილაძა (3)-აკაკი რუხაძე (3); **16-წლამდელები:** დიმიტრი კვარაცხელია (4)-ირაკლი ჯანიაშვილი (3.5); დავით ბენიძე (3.5)-ირაკლი ბერაძე (3.5); ზვიად ფაცია (3.5)-დავით ლომსაძე (3).

ზვიად შათირიშვილი

ხელბურთი

ინტერვიუ რევაზ ჭანტურიასთან

შემოდგომას მოუთმენლად ველი

სერბეთი, ხორვატია, მაკედონია და მერე საქართველოც?

სახელბურთო ევროპაში არდადეგებია. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ნაკრების ლეგიონერები შვებულებას მონატრებულ სამშობლოში ატარებენ. მათ შორისაა მაკედონიის "მეტალურგის" ხელბურთელი რევაზ ჭანტურიაც, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ კლუბზე, ნაკრებსა და სამომავლო გეგმებზე...

- სამწუხაროდ, წლეულს, მაკედონიის ჩემპიონატში ორივე ფრონტზე მეორეები ვიყავით. ეროვნულ ჩემპიონატშიც "ვარდარმა" გვაჯობა და მაკედონიის თასის ფინალიც ამ გუნდთან ნავაგეთ. სეზონი დამთავრდა და ახლა სამშობლოში ვისვენებ.

- მაკედონიაში როდის ბრუნდები?

- 25 ივლისს სკოპიეში უნდა ვიყო, სადაც "მეტალურგი" ახალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგება. შემოდგომამდე, მაკედონიის გარდა, ჯერ სერბეთში გავივლით შეკრებას, მერე კი ხორვატიის საერთაშორისო ტურნირზე ვითამაშებთ.

- წლეულს, რომელ ევროთასზე ითამაშებს "მეტალურგი"?

- შარშან, როგორც ჩემპიონებმა, ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშეთ. წლეულს კი ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე გამოვალთ.

- გაისად კონტრაქტი გეწურება. ისევ მაკედონიაში დარჩები თუ სხვა ქვეყანაში გადახვალ?

- ჯერ ეს ერთი წელიწადი გავიდეს და ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა რაიმეს თქმა გამიჭირდება.

- ოქტომბერში, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს "ჩელენჯ ტროფი" უნევს...

- ძალიან საჭირო ტურნირია და გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ამ შეჯიბრებაზე უნდა ვითამაშოთ. მართალია, იმ დროს მაკედონიის ჩემპიონატი დაწყებული იქნება, მაგრამ ვიმედოვნებ, საქართველოს ხელბურთის ასოციაცია ჩემს კლუბთან ამ საკითხს მოაგვარებს და "მეტალურგი" ნაკრებში გამომიშვებს. თუმცა, რომ არ გამომიშვან, ამის უფლება, ალბათ, არც ექნებათ, რადგან "ჩელენჯ ტროფი" ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური შეჯიბრებაა. მოკლედ, ნაკრებში ჩამოსვლის დიდი სურვილი მაქვს და შემოდგომას მოუთმენლად ველი.

კობა ხატისაშვილი

რევაზ ჭანტურია

ᲞᲣᲡᲰᲝᲕᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲖᲘᲛᲝᲑᲡ

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲔᲚᲘ **თორ პუსჰოვდის** გამარჯვებით დასრულდა ტურ დე ფრანსის მეოთხე ეტაპი, საერთო კლასიფიკაციაში კი ლიდერობა და მასთან ერთად, ყვითელი მაისურაც ორი ეტაპის მომგებმა შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** შეინარჩუნა. "კრედიტ აგრიკოლის" სპრინტერისთვის, ვინც ფრანგული ტურის მწვანე მაისურას (საუკეთესო სპრინტერი) ორი წლის წინათ დაეუფლა, ეს მიმდინარე სეზონში მოგებული პირველი რბოლაა.

ჰუსჰოვდმა გადამწყვეტი შეტევა მაშინ წამოიწყო, როცა ფინიშამდე 350 მეტრი იყო დარჩენილი. სამხრეთაფრიკელმა **რობერტ ჰანტერმა** ბოლო მეტრებზე კი სცადა გასწრება, მაგრამ ნორვეგიელმა დიდი ინერციის წყალობით, რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო ფინიშთან. მესამე ადგილი დაიკავა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ოსკარ ფრეირემ**.

ტურზე კარიერაში მოპოვებული მეხუთე გამარჯვებით, რის გამოც მან დროითი ბონუსები დაიმსახურა, ჰუსჰოვდმა საერთო კლასიფიკაციაში მეორე ადგილიდან ჩამოაქვეითა გერმანელი **ანდრეას კლოდენი**. უფრო მეტიც, თუ სამი ეტაპის შემდეგ, კანჩელარა კლოდენს 33 წამს უგებდა, ახლა შვეიცარიელსა და ჰუსჰოვდს შორის 29 წამია.

ტურ დე ფრანსი

მეოთხე ეტაპი ჰუსჰოვდისაა

ხელი მოეცარა სპრინტის ბელგილ ოსტატს, მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ **ტომ ბოონენს**, ვინც მერვე ადგილს დასჯერდა, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა მწვანე მაისურა.

ნარბოლევს, ნორვეგიელმა, ვინც შარშანდელი ტურის პროლოგი და ბოლო ეტაპი მოიგო, თავისი გამარჯვება ავსტრალიელ თანაგუნდელ **ჯულიან დინს** მიუძღვნა, რომლის წყალობითაც, ბოლო კილომეტრის განმავლობაში, პელოტონის შუიდან მონინავეთა შორის გააღწია. ჯულიანს მსოფლიოში ვერავინ შეედრება სპურტის წინ თანაგუნდელის ხელსაყრელ პოზიციაზე გაყვანაშიო, - განაცხადა ნორვეგიელმა.

ეტაპის სტარტიდან 30 კილომეტრის შემდეგ, პელოტონის ჩამოტოვება რამდენიმე ველომრბოლმა (მათ შორის; ფრანგი **სილვენ შავანელი** და ესპანელი **ანტონიო ფლეშა**) შეძლო. მალე მათმა უპირატესობამ ოთხ წუთს მიაღწია, თუმცა ძირითადმა ჯგუფმა ისინი ფინიშამდე 7 კილომეტრით ადრე დაიჭირა. ამათგან შავანელმა მაინც იხეირა - საშუალედო ფინიშებზე მოპოვებული დროითი ბონუსების წყალობით, მან აბსოლუტურში მეშვიდეზე გადაინაცვლა.

გუშინდელი ეტაპის დასაწყისში სერიოზული ინციდენტი მოხდა, რომლის შედეგადაც, "კაისე დ'ეპარნს" ესპანელი **ქსავიე სანდიო** გამოაკლდა. ამას ლავიწის ძვალი გაუტყდა და გზიდან პირდაპირ ჰოსპიტალში ამოჰყო თავი. ინციდენტში გარეულ კიდევ ერთ ველომრბოლს, ფრანგ **რემი დ გრიგორიოს** იდაყვი დაუზიანდა, თუმცა მან ფინიშს მაინც მიაღწია (ჰუსჰოვდს თითქმის რვა წუთით ჩამორჩა).

მერაბ ლორთქიფანიძე

ტურ დე ფრანსი

მეოთხე ეტაპი. ვილერ-კოტერედან ფოინიმდე (193 კმ)

1. თორ პუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 4:37.47; 2. რობერტ ჰანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი) იგივე დროში; 3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი); 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 5. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 6. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 7. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 8. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 9. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი); 10. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, ტე-მობილი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია ოთხი ეტაპის შემდეგ

1. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, CSC) 19:49:55; 2. თორ პუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 0.29; 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.33; 4. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.41; 5. ჯორჯ პინკეიი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.43; 6. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 0.43; 7. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 0.44; 8. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.45; 9. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.46; 10. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.46...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

12 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲙᲚᲣᲑᲘ (ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ)

12:00 თაგისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი. მექსიკა-არგენტინა.
14:10 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მაფაპუზენი-ბაიერნი.
16:00 თაგისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. პორტუ-მანჩესტერი. I მატჩი.
18:00 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-შტუტგარტი.
19:45 თაგისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 უოქნდის მატჩების ანონსი.
20:20 ტოკ-შოუ - 2:1.
21:05 კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი. მექსიკა-არგენტინა.
22:50 საფეხბურთო კლუბი.
23:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
00:50 საფრანგეთის ჩემპიონატი სეზონის მიმოხილვა.

SPORT 1 (ᲡᲐᲥᲠᲐᲗᲕᲔᲚᲝ)

07:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
09:34 აფროსნობა. ამერიკის თასი.
10:04 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
11:48 სპორტის ისტორია.
11:53 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1970 წელი. ჩელსი-ლიდსი.
14:13 სპორტკლუბი
14:50 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-დინამო.
16:38 ფეხბურთი.
17:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე.
18:46 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
20:33 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
20:40 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. დეტროიტი-კალგარი.
22:34 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:00 კრიკეტი. ნოკაუტების ფაზა.
23:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
02:24 აფროსნობა. ამერიკის თასი.
02:52 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ნიუ იორკი-დინამო.
04:39 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე.
06:23 სპორტკლუბი

EUROSPORT

10:30 ცხენოსნობა. სუპერლიგა. ათენი. გერმანია.
11:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
12:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბრაზილია-ბულგარეთი. პოლონეთი.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
14:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
22:00 კრიკეტი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
00:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა (LIVE).
02:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ფინალი. იტალია.
14:00 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ლატვია-საფრანგეთი. სერბეთი (LIVE).
17:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. ბრაზილია-ბულგარეთი. პოლონეთი.
18:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
20:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ჩინეთი. სერბეთი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ავსტრალია. სერბეთი (LIVE).
00:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. ესპანეთი.
00:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა (LIVE).
02:45 ახალი ამბები.
03:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). კანადა (LIVE).
05:45 ახალი ამბები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ირანი-უზბეკეთი	2:1
ს. კორეა-ს. არაბეთი	1:1

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

გრასჰოპერები-ლევერკუზენი	2:1
მეცი-კობლენცი	1:2
პაგბერგი-ბრუსელი	1:0
შეფილდუზენი-ბაიერნი	0:4
თენი-პეფილენდორფი	3:1
კიოლნი-ალემანია	3:1
ბრონდბი-ოსერი	2:1
ბრესტი-ლორიანი	1:0
ნიმეგენი-ვენლო	1:1
სოფო-ბრენფორდი	0:0
ცვოლე-ფალკირკი	1:1
მარსელი-ფენელეე	2:2
სარეგემი-ალენ	2:1
ბაზელი-ლანი	1:2
ერფურტი-ბოხუმი	2:4
გუბაკე-სანდერლენდი	1:1
სპ. ბრეიდენი-სელანი	2:1
ლიბერნი-ბორდო	1:0
ბარგაუზენი-ნოგინგემი	გადადგა

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

რაპიდი-ბირლი	3:1
რიდი-მაგერსბერგი	1:2
ზგბერგი-აუსტრია (Თ)	2:2
ზალცბერგი-ალბანი	4:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

კალმარი-ეიმარბიუ	2:0

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘ

პოზელი-ლინკიპინგი	1:1

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲑᲐᲨᲒᲐᲚᲘ

ო. როხუსი-ლეუპი	6:4, 7:5
ვოლანდრი-შრუკინი	4:6, 6:3, 6:3
ალმაგრო-ბიორკმანი	6:4, 6:2
ორნა-ბერლოკი	6:3, 7:6

ATP. ᲓᲨᲒᲐᲚᲘ

სეპი-სალვა ვიდალი	6:4, 6:0
იუენი-კუბეკი	4:6, 3:6
დავიდენკო-მონფილსი	6:3, 4:6, 5:7
გასკე-რამირეს იდალგო	6:3, 6:4
სერა-ვანეკი	4:6, 1:6
ვავრინკა-ვასალო არგელო	5:7, 6:1, 4:6
აკასუსო-ლაპენტი	5:7, 1:6
ჟიკელი-ეშაუერი	6:2, 7:6
კოლშრაიბერი-შტეპანეკი	5:7, 3:6
ანდრეევი-მონტანიესი	3:6, 6:3, 6:4

ATP. ᲜᲘᲣᲞᲝᲠᲢᲘ

ქიურეში-ჰილი	7:6, 5:7, 6:4
მუდი-კარანუშიჩი	6:4, 4:6, 6:2
სანტორო-პეია	6:4, 6:1
ბერერი-ნორმანი	2:6, 7:6, 6:7
სპეიდი-კაპდევილე	6:3, 7:5

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲭᲔᲘᲚᲝᲠᲘ ᲛᲫᲘᲛᲓᲔᲑᲐ



ᲯᲔᲠᲛᲔᲘᲜ ᲭᲔᲘᲚᲝᲠᲘ

საშუალო წონაში (72.58 კგ-მდე) ორი პრესტიჟული გაერთიანების (WBC - კრივის მსოფლიო საბჭო და WBO - კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **ჯერმეინ ტეილორი** ზესაშუალო წონაში (76.20 კგ-მდე) გადაბარგებასა და შესაბამისად, თავისი ორივე ტიტულის დათმობას აპირებს.

ოლონდ, სანამ ამას გააკეთებს, თავისი ტიტულების დასაცავად მეხუთედ აპირებს ბრძოლას. მას თითქმის გაფორმებული აქვს კონტრაქტი ამერიკელ პრეტენდენტ **კელი პავლიკთან**, ვისაც ალბათ 29 სექტემბერს ატლანტიკ სიტის "ბორდუოკ ჰოლის" რინგზე შეხვდება.

ამ ბრძოლის შედეგის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, ტეილორი თავის მომდევნო ბრძოლას ზესაშუალო წონაში გამართავს და თავის ტიტულებს ვაკანტურად დატოვებს. ამასთან, ის იმედოვნებს, რომ ზესაშუალოშიც მალე მიეცემა ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება.

ტეილორი რომ ზესაშუალოში გადადის, ამ წონის ორმა ჩემპიონმა, WBC-სა და WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) ტიტულის მფლობელმა, დანიელმა **მიკელ კესლერმა** და უელსელმა WBO-ის ჩემპიონმა **ჯო კალძაგემ** უკვე მოილაპარაკეს თავიანთი შეხვედრის დროზე. მათი ბრძოლა 3 ნოემბერს, სავარაუდოდ, კარდიფის (უელსი) "მილენიუმ სტედიუმზე" გაიმართება.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲦᲘᲠ

ᲒᲒᲢᲐᲚᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 421 250 ᲔᲕᲠᲝ

I ᲠᲐᲣᲜᲓᲘ

პოლ-ანრი მატიო (საფ, 5)-სერბიო როიტმანი (არგ) 7:6(4), 6:4; **მარკ ფი�el (საფ, 6)**-დიეგო პარტფილდი (არგ) 6:3, 7:6(5); **პოტიტო სტარაჩე (იტა, 8)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 7:6(4), 6:1; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-მიშელ კრატბვილი (შვეიც) 6:2, 6:3; **ვერნერ ეშაუერი (ავსტრია)**-მიხაელ ლამერი (შვეიც) 6:2, 4:6, 6:2; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 7:5, 6:3.

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠ

ᲒᲐᲨᲢᲐᲚᲘ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ). ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 353 450 ᲔᲕᲠᲝ

I ᲠᲐᲣᲜᲓᲘ

დავიდ ფერერი (ესპ, 2)-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:2, 6:1; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:3, 6:3; **ხუან მონაკო (არგ, 7)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:6(6), 3:6, 6:4; **იონას ბიორკმანი (შვედ, 8)**-მიხალ პრჟისიეჟნი (პოლ) 5:7, 6:2, 6:4; **იური შჩუკინი (რუს)**-მარიანო საბალეტა (არგ) 6:1, 1:6, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ)**-ვიქტორ ტროიეკი (სერ) 6:2, 6:3; **ტომას იოჰანსონი (შვედ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ერლინგ ტვეიტი (ნორ) 7:5, 6:1; **კარლოს ბერლოკი (არგ)**-ტომ გორანსონი (შვედ) 6:2, 6:0.

Campbell's Hall of Fame

ნიუპორტი (აშშ). ბალახი
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 416 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

I ᲠᲐᲣᲜᲓᲘ

სკოვილ ჯენკინსი (აშშ)-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 6:2, 6:1; **დანაი უდომჩოკე (ტაილ)**-ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტ) 6:3, 3:6, 6:0; **დიკ ნორმანი (ბელ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 7:6(3), 6:3; **მიშა ზვერევი (გერ)**-იგორ კუნიცინი (რუს, 7) 6:1, 2:6, 6:1; **აისამ-ულ-ჰაქ ქურეში (პაკ)**-მარდი ფიში (აშშ, 1) 6:3, 6:4; **პრაკაშ არმიტრაჯი (ინდ)**-ილია ბოგოლიაკი (სერ) 3:6, 6:3, 6:3; **ნათან პილი (ავსტრა)**-ჯეს ლევინი (აშშ) 6:1, 6:0; **ანტონი დუპუი (საფ)**-კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბ) 6:4, 6:3; **პოლ კაპდევილე (ჩილ)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 7:6(3), 4:6, 7:5; **ნიკოლა მაიუ (საფ, 5)**-ადრიან გარსია (ჩილ) 7:6(6), 6:1.

ᲙᲠᲝᲡᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ

"ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒ ᲞᲘᲜᲒᲕᲘᲜᲖᲛᲐ" უმნიშვნელოვანესი კონტრაქტი გააფორმა. კლუბმა თავისი ლიდერი, **სიდნი კროსბი** ახალ, ხუთწლიან ხელშეკრულებაზე დაითანხმა. ამ გარიგების თანახმად, ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯამში 45 მილიონ დოლარს მიიღებს. თუ გავითვალისწინებთ კროსბის მიმდინარე კონტრაქტს, რომელსაც მომავალი წლის ბოლოს ეწურება ვადა, გასული სეზონის საუკეთესო ბომბარიდირი და მოთამაშე "პინგვინების" რიგებში ექვსი წელი დარჩება.

"მიყვარს პიტსბურგში ცხოვრება და თამაში და აქ დიდხანს დარჩენას ვაპირებ. ინდივიდუალური პრიზები კარგია, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი "პინგვინზთან" ერთად სტენლის თასის მოგებაა", - განაცხადა კონტრაქის გაფორმების შემდეგ სიდნი კროსბიმ.

ამ ფორვარდს 20 წელი აგვისტოში უსრულდება. გასულ რეგულარულში მან ლეგენდარული **უეინ გრეტკის** რეკორდი დაამხო - სიდნი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი, რომელმაც სეზონის საუკეთესო ჰოკეისტის პრიზი დაიმსახურა. ამასთან, კროსბი NHL-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანიც გახდა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲡᲞᲐᲘᲙᲔᲠᲛᲐ ᲐᲚᲑᲔᲠᲡᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდმა, "სპაიკერმა" თავისი ერთ-ერთი საპრიზო პილოტი, ჰოლანდიელი **კრისტიან ალბერსი** დაითხოვა. როგორც ამ საჯინიბოს ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ალბერსს დაფინანსება შეუწყვიტა მისმა ერთ-ერთმა სპონსორმა და პილოტის გაშვების მიზეზიც სნორედ ეს გახლავთ.

"ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე რთული გადაწყვეტილებაა. ვაფასებ ალბერსის ნიჭს, მაგრამ მაინც იძულებულნი ვართ, მას გამოვეთხოვოთ. ყველაფერი პილოტის ერთ-ერთი სპონსორის ფინანსურმა პრობლემებმა გამოიწვია", - განაცხადა "სპაიკერის" ბოსმა **მიშელ მოლმა.**

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ შეცვლის ევროპის გრან-პრიზე ჰოლანდიელ პილოტს. არსებობს ორი ვარიანტი - "ნიურბურგრინგზე" ან ინდოელი **ნარაიან კართიკეიანი** ან ავსტრიელი **კრისტიან კლინი** გამოვა.

კართიკეიანი ამჟამად "უილიამსის" ტესტ-პილოტია, ადრე კი, "ჯორდანის" ბოლიდით გამოდიოდა მსოფლიო ჩემპიონატზე. რაც შეეხება კლინს, ის "ჰონდას" ტესტ-პილოტის ფუნქციებს ასრულებს.

კალათბურთი

NBA-მ სახელფასო ლიმიტი განსაზღვრა

დღეს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა. მანამდე კი, NBA-ის ხელმძღვანელობამ 2007-08 წლების სეზონისთვის კლუბებს სახელფასო ფონდის მაქსიმალური ზღვარი დაუწესა. ეს თანხა 55.63 მილიონ დოლარს უტოლდება.

როგორც ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ასევე დადგინდა საკლუბო ბიუჯეტის მინიმალური ზღვარიც - 41.723 მილიონი დოლარი. გარდა ამისა, ცნობილი ხდება, რომ სახელფასო ფონდის მაქსიმალურ თანხას გადაცდენილი ყოველი დოლარი, NBA-ის მიერ ერთი დოლარით დაიბეგრება.

ლუისის 110 მილიონი დოლარი

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, NBA-ის ვარსკვლავი **რაშარდ ლუისი** "სიეტლ სუპერსონიქსიდან" "ორლანდო მეჯიქში" გადავიდა, თუმცა, მაშინ პრესისთვის კონტრაქტის დეტალები უცნობი დარჩა.

ჟურნალისტების ვარაუდით, ლუისი, 5-წლიანი ხელშეკრულების თანახმად, 75 მილიონ დოლარს მიიღებდა, მაგრამ ახლა ოფიციალურად დადასტურდა, რომ რაშარდი "ორლანდოსთან" 6-წლიან კონტრაქტს გააფორმეს და ჯამში მისი ხელფასი 110 მილიონ დოლარს გაუტოლდება.

ლუისთან კონტრაქტი დღეს გაფორმდება და რაშარდის დამატებით, "მეჯიქს" თავისი სახელფასო ფონდის 30 პროცენტი უკვე გამოყენებული ექნება.

ოდენი საოპერაციოა

წლევანდელი დრაფტის პირველ ნომერს, "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრს **გრეგ ოდენს** სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება. როგორც ირკვევა, ამ ნიჭიერ კალათბურთელს გლანდები ჰქონია ამოსაჭრელი.

ოპერაციის ჩატარების ზუსტი თარიღი ჯერ არ დადგენილა. ოდენი ლოს ანჯელესში იმკურნალებს და სავარაუდოდ, აგვისტოში დაგეგმილი ყველა საწვრთნელი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

ჩინეთმა კლივლენდს მოუგო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საზაფხულო ლიგის ეგიდით საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა ჩინეთის ნაკრებსა და შარშანდელი სეზონის ფინალისტ "კლივლენდ კავალიერზს" შორის.

ამ შეხვედრაში გაიბრწყინა "მილუოკი ბაქსის" მიერ დრაფტში მეექვსე ნომრად აყვანილმა **აი ცზიანლიანმა**. ჩინელმა კალათბურთელმა თავის გუნდში ყველაზე მეტი, 20 ქულა დააგროვა, აქედან 14 - ბოლო მეოთხედში. გარდა ამისა, გამარჯვების მომტანი ტყორცნაც ცზიანლიანმა შეასრულა და ჩინეთმა "კლივლენდს" 85:84 მოუგო.

"კავალიერზის" რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ **შენონ ბრაუნი** (26 ქულა) და **დანიელ გიბსონი** (14).

ილიევსკი მონტეპასკიში გადავიდა

იტალიის ჩემპიონმა "მონტეპასკიმ" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა მაკედონელ მცველ **ვლადო ილიევსკისთან** (190 სმ), რომელსაც სლოვენიური პასპორტიც გააჩნია.

ილიევსკიმ გასული სეზონი ასევე იტალიის ლიგაში, ოღონდ ბოლონიას "ვირტუსის" შემადგენლობაში გაატარა და ფლეი ოფშიც ითამაშა. ამ ეტაპზე მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 11.6 ქულას, 1.7 მოხსნასა და 2.4 შედეგიან გადაცემას უტოლდებოდა.

რუდი ფერნანდესი ხუვენტუდში დარჩა

ესპანეთის "ხუვენტუდის" მთავარმა ვარსკვლავმა **რუდი ფერნანდესმა** თავის ამჟამინდელ კლუბთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება.

ამ ერთი სეზონის შემდეგ, ეს მცველი, რომელზეც ბევრი ევროპული გრანდი აცხადებდა პრეტენზიას, ოკეანის გაღმა NBA-ში სათამაშოდ გაემგზავრება.

ჩოგბურთი

კლაისტერსი ფეხმძიმედ ყოფილა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** პირველი შვილის დაბადებას ელოდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ჩოგბურთელის მამამ, წარსულში ბელგიის საფეხბურთო ნაკრების მცველმა **ლეო კლაისტერსმა** უამბო.

"თუ ყველაფერი კარგად იქნა, მომავალ წელს კიმი დედა გახდება, მე კი ბაბუა", - განაცხადა ყოფილმა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, 24 წლის კლაისტერსმა საჩოგბურთო კარიერა ამ წლის მაისში დასრულა. წელეულს, კიმს ამერიკაში კალათბურთელ **ბრაიან ლინჩთან** ქორწილი აქვს დაგეგმილი.

სერენა ტრავმირებულია

ამერიკელმა ჩოგბურთელმა **სერენა უილიამსმა** ცინცინატის ტურნირიდან თავისი განაცხადი გამოიტანა. ტურნირზე, რომელიც 16-22 ივლისს უნდა გაიმართოს, უმცროსი უილიამსი ხელის ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. სერენამ ეს დაზიანება უიმბლდონის მეოთხედფინალში, **ჟუსტინ ანენთან** მატჩის დროს მიიღო.

არ არის გამორიცხული, რომ სერენა უილიამსმა გამოტოვოს ამ უიქენდზე დაგეგმილი ფედერაციის თასის ნახევარფინალი რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ.

შარაპოვა, როგორც კურნიკოვა

რუსეთის ჩოგბურთის ფედერაცია უკმაყოფილებას ვერ მალავს **მარია შარაპოვას** საქციელის გამო, რომელმაც კიდევ ერთხელ თქვა უარი ფედერაციის თასზე რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე.

"მან ამჯერადაც გამოააშკარავა თავისი ნამდვილი გეგმები. პირადად ჩემთვის, მარიას უარი მოულოდნელობა არ ყოფილა. თანაც, მან ამჯერადაც ბოლო წამს გაახმოვანა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება. ასეთი რამ ჩვენი გუნდის ისტორიაში ხშირად ყოფილა. ანა კურნიკოვაც, როცა მას ნაკრებში იწვევდნენ, მუდმივად ტრავმას იმიზეზებდა და გუნდში არ ჩამოდიოდა. ცოტა ხანში კი, ანა ყველამ დაივიწყა. არა უშავს, შარაპოვას გარდა, რუსეთში მრავლად არიან ნიჭიერი ჩოგბურთელები", - ამბობს ფედერაციის ერთ-ერთი ჩინოვნიკი.

ჰოკეი

შენეპანი რეინჯერსის ერთგულია

"ნიუიორკრეინჯერსმა" ერთი წლით დაიტოვა ვეტერანი ფორვარდი **ბრენდან შენეპანი**. მომავალ სეზონში ეს ჰოკეისტი 2.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ სეზონში, 38 წლის შენეპანმა 67 მატჩი ჩაატარა და 62 ქულა (29 გოლი+33 შედეგიანი პასი) დააგროვა. ბრენდანი 627 გოლით, ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის სნაიპერთა სიაში მე-12 ადგილს იკავებს და ამასთან, ლიდერია მოქმედ მოთამაშეებს შორის.

ლოზანას დიდი პრიზი

გეის მორიგი გაბრწყინება



ტაისონ გეი

სპრინტის ახალი ვარსკვლავი, ამერიკელი **ტაისონ გეი** ამ უქმეებზე (შეფილდში) მსოფლიოს რეკორდის დამყარებას გეგმავს. სანამ ინგლისს ეწვეოდა, გზად ლოზანაში შეიარა და იქაურ "ათლეტიმას" სუპერ დიდი პრიზის შეხვედრაზე, 200 მეტრზე სპრინტში იასპარეზა.

სუსხიანი ამინდის მიუხედავად, გეიმ დისტანცია 19.78 წამში გაირბინა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ამასთან, ამ დისტანციაზე საკუთარ საუკეთესო შედეგამდე 0.14 წამი დააკლდა. შეგახსენებთ, რომ 24 წლის გეი ამ სეზონში მსოფლიოს იამაიკელ რეკორდსმენ **ასაფა პაუელზე** უკეთ ასპარეზობს. ამერიკელმა ერთხელ მსოფლიო რეკორდიც კი გაუმჯობესა, მაგრამ ძლიერი ზურგქარის გამო შედეგი არ ჩაეთვალა.

"ძალიან ციოდა, მაგრამ მაშინვე, როგორც კი ბლოკებზე შევდექი, სიცივე სულ დამავიწყდა, ჩემი გონება მხოლოდ სარბენი ბილიკისკენ გადაერთო. მართალი გითხრათ, გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. სამაგიეროდ, ჩემს მიერ ნაჩვენები დროით გაკვირვებული ვარ. ეს იმიტომ, რომ მუხლის მცირე ტრავმა მქონდა, რის გამოც ტურნირისთვის კარგად მომზადებული არ ვიყავი", - განაცხადა გეიმ, ვინც ოსაკას (იაპონია) მსოფლიო ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრზე სპრინტებში იასპარეზებს.

სხვათა შორის, ლოზანაში პაუელმაც იასპარეზა, მაგრამ მხოლოდ ას მეტრზე და ისიც, 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. შეგახსენებთ, რომ იამაიკელმა სპრინტერმა საზარდულის ტრავმის გამო, პარიზის ოქროს ლიგის შეხვედრა გამოტოვა. ახლა კი მომჯობინებულია და ლოზანაში თავს მსუბუქი დატვირთვის უფლება მისცა. და ესეც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ესტაფეტა იამაიკას მოეგო. პაუელმა ესტაფეტის ბოლო მუხლზე ირბინა და თავის გუნდს ბრიტანელებთან 0.03 წამით მოაგებინა.

110 მეტრზე თარჯრბენში ბადალი არ ჰყავდა ჩინელ მსოფლიო რეკორდსმენსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლიუ სიანს**, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე, ოქროს ლიგის პარიზულ შეხვედრაში იშვიათი მარცხი იგემა. ლიუმ კარგი სტარტი აიღო და ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა, რომელსაც ბოლო მეტრებზე ამერიკელი **ანვარ მური** ეცილებოდა.

დაძაბული გამოდგა ქალთა თარჯრბენი, რომელშიც ამერიკელმა **მიშელ პერიმ** ოდენ 0.02 წამით აჯობა შვედ **სუზან კალურს**.

სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში იასპარეზა რუსმა **ტატიანა ლებედევამ**, ვინც პირველ დისციპლინაში ოლიმპიური ჩემპიონია, მეორეში კი ორგზის მსოფლიო (ყოფილი) ჩემპიონი. ამჯერად მას დუბლი არ გამოუვიდა. სამხტომში მისი საუკეთესო შედეგი 14.47 მეტრი იყო და 21 სანტიმეტრით აჯობა სლოვენიელ **მარია შესტაკს**. სამაგიეროდ, სიგრძეზე ხტომაში მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. გამარჯვება კი ხუთჭიდში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვედმა **კაროლინა კლუფტმა** მოიპოვა, ვინც 6.84 მეტრზე გადახტა.

მერაბ ლორთქიფანიძე

მსოფლიოს რეკორდსმენი

პაუელი რომში გამოვა

ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენმა, იამაიკელმა **ასაფა პაუელმა** საზარდულის ტრავმა უკვე მოიშუშა და ამბობს, რომ მონაწილეობას მიიღებს ოქროს ლიგის სერიის რომაულ შეხვედრაზე, რომელსაც პარასკევს რომის ოლიმპიური სტადიონი უმასპინძლებს.

პაუელმა, ვინც მსოფლიოს რეკორდი ორი წლის წინათ, ათენის დიდ პრიზზე ასპარეზობისას დაამყარა, საზარდულის ტრავმა იამაიკის ეროვნულ ჩემპიონატზე ასპარეზობისას მიიღო. ამის მიუხედავად, რამდენიმე მეორე ხარისხოვან ტურნირზე, სხვადასხვა დისტანციებზე მაინც იასპარეზა, თუმცა შემდეგ დასვენება ამჯობინა და ამიტომ, ოქროს ლიგის პარიზული შეხვედრაც გამოტოვა. ამგვარად, მან ნებაყოფლობით თქვა უარი ოქროს ლიგის მილიონდოლარიანი ჯეკპოტისთვის ბრძოლაზე.

სამაგიერდ, აშკარა გახდა, რომ პაუელისთვის ამ სეზონში პრიორიტეტული მსოფლიოს ჩემპიონატია - მსოფლიოს რეკორდსმენის მიღწევათა გალერეას ჯერ-ჯერობით, არცერთი დიდი ტურნირის (მსოფლიოს ჩემპიონატები და ოლიმპიადები) ოქროს მედლები არ ამშვენებს და ამ ეტაპზე, ის თავისივე რეკორდის გაუმჯობესებაზე მეტად მსოფლიო ჩემპიონატისთვის მომზადებაზე ზრუნავს.

სამშაბათს პაუელმა მონაწილეობა მიიღო ლოზანაში ჩატარებულ, სუპერ დიდი პრიზის სერიის შეხვედრაზე, სადაც 4x100 მეტრზე ესტაფეტაში, იამაიკის ნაკრების მიერ ბრიტანეთის დამარცხებაში ლომის წილი დაიდო. თუმცა, ლოზანაში ინდივიდუალურად არ უასპარეზია. იქვე მან განაცხადა, რომ რომში გამოვა.

შეგახსენებთ, რომ პაუელმა, ვინც ახლა 24 წლისაა შარშან ოქროს ლიგის ექვსივე შეხვედრაზე, ას მეტრზე სპრინტი მოიგო და ჯეკ პოტის თანამოზიარე გახდა. ამ სეზონშიც, მან სერიის პირველი შეხვედრა (ოსლოში, ბისლეტის თამაშებზე) მოიგო, მაგრამ ტრავმის გამიზეზების რისკის გამო, პარიზში გამოსვლისგან თავი შეიკავა.

გებრე კი ნიუ იორკში

შორ მანძილებზე მორბენალმა ეთიოპიელმა, სახელოვანმა **ჰაილე გებრსელასიემ** გამოაცხადა, რომ ამ სეზონში მონაწილეობას მიიღებს ნიუ იორკის ნახევარმარათონზე, რომელიც 5 აგვისტოს ჩატარდება.

34 წლის სტაიერმა ახლახანს, ოსტრავაში ასპარეზობისას, მსოფლიოს ორი რეკორდის (ერთსაათიან ასპარეზობასა და გზად, 20 კილომეტრზეც) გაუმჯობესება შეძლო. ამგვარად, მის მიერ დამყარებული რეკორდების რაოდენობა 22-მდე გაზარდა.

"მოხარული ვარ, რომ ნიუ იორკის ნახევარმარათონზე პირველად ვიასპარეზებ. დარწმუნებული ვარ, იქაურ ქუჩებში გამოსვლით კმაყოფილი დავრჩები და რაც მთავარია, ფინიშის ხაზს პირველი გადავკვეთ", - განაცხადა გებრემ, ვისაც ამ დისტანციაზე სულ ექვსჯერ უასპარეზია და ყველა შემთხვევაში, პირველობას არავის უთმობდა.

შეგახსენებთ, რომ გებრსელასიეს 1996 და 2000 წლების ოლიმპიადებზე (შესაბამისად, სიდნეისა და ათენში), 10 000 მეტრზე სირბილში ოქროს მედლები აქვს მოპოვებული.

ასაფა პაუელი

ეროვნული ბიბლიოთეკა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თეენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გელახვაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიფოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სახარაძე, დავით ბეგეჯორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელნოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თეენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: ჟას გაზეთი ლელო, ჟას სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10², 0159 თბილისი
(დიდუბე, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გაყიდვა ქვეყანაში